ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

პარასკევი, 25 მაისი, 2012 | №123 (5813) | ფასი: 30 თეთრი

23 მაისიდან
„ახალი თაობა“+
სალვადორ დალი
8 ლარი




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბათუმში, იუნკრების საფლავზე თურქულ სასტუმროსააშენებენ



გვ. 2

## საქართველოს მთავრობამ რკინიგზის გაყიდვა გადაიფიქრა

გვ. 3





გვ. 2

## „ქართულ ოცნებას“ ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა უერთდება



გვ. 4

## ხატიაშვილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს აპროტესტებს



## მამუკა აჩბა: „აფხაზეთი ყოველთვის საქართველო იყო“

გვ. 2

სააკაშვილმა ქართველებსა და აფხაზებს შეურაცხყოფა მიაყენა

26 მაისს, 12 საათზე წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით სახალხო კრება“ გადაიხდის 2011 წლის 26 მაისს დაღუპულთა პანაშვიდს და პარაკლისს დაზარალებულთა და დაპატიმრებულთათვის.

დასწრების მსურველები იკრიბებიან სამების ტაძრის ეზოში.




## გამყრელიძე უწყლოდ დარჩენილ სოფლებს ესტუმრა

გვ. 3



## პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხზე ჯონდი ბაღათურია არასამთავრობოებს შეხვდა

გვ. 2



ISSN 1987-9385

3 ირაკლი ბათიაშვილი: „რომან დუმბაძე ქართული სპეცსამსახურების დავალებით მოკლეს“

4 სააკაშვილი აბსოლუტურად სხვა სამყაროშია

5 ობამას დლიურები: „თუ ხალხს ვეყვარები, ბრძოლას გავაგრძელებ“

8 კონსტიტუციური ცვლილებები სიგიჟეა

# მამუკა აჩბა: „აფხაზეთი ყოველთვის საქართველო იყო"

## სააკაშვილმა ქართველებსა და აფხაზებს შეურაცხყოფა მიაყენა

თეა მარხვაიძე

**2 მაისს პრეზიდენტის გაკეთებული განცხადება დღემდე დიდი მითქმა-მოთქმის საბაბია. საუბარია ქუთაისში გაკეთებულ განცხადებაზე. სადაც სააკაშვილმა თქვა, რომ აფხაზეთი საქართველო არ ყოფილა. მისი განცხადების გამოსწორებას ნაციონალები აქტიურად ცდილობდნენ, რამაც საზოგადოება კიდევ უფრო გააღიზიანა. ბოლო წერტილი მაინც კობა ხაბაზის განცხადება იყო. აზიზიეს მეჩეთის შეუდარებელმა დამცველმა დაასკვნა, რომ აფხაზეთი საქართველო არ ყოფილაო. მართალია დაამატა, მეც და სააკაშვილიც საბჭოთა დროებას გულისხმობდითო, მაგრამ ერი მაინც აღშფოთებული დარჩა.**



მამუკა აჩბა

აღშფოთებული დარჩა მამუკა აჩბაც. სახალხო კრების წარმომადგენელი თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევს. ის, როგორც აფხაზი ამბობს, რომ აფხაზეთი ყოველთვის საქართველო იყო.

რას ითვალისწინებს ხელისუფლების პოლიტიკა, ვინ შეძლებს კონფლიქტების მოგვარებას, რა დღეში არიან დევნილები – ამ თემებზე „ახალ თაობას" „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს" მთავარი საბჭოს წევრი მამუკა აჩბა ესაუბრება.

**მამუკა აჩბა:**

– ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები აქტიურად ცდილობენ გაამართლონ მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც გაუგონარი განცხადება გააკეთა. როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ აფხაზეთი საქართველო არ იყო. კი ამბობენ, რომ საბჭოთა პერიოდი ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ ესეც არის აბსურდი. მათ გასაგონად უნდა ვთქვა, რომ საბჭოთა კავშირის დროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს შემადგენლობაში კონსტიტუციურად შედიოდა. თავად საქართველო კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო. ამდენად, მათი განმარტებები არის ძალიან უსუსური. მათ არ გამოუვათ სააკაშვილის განცხადების „გაპრავება". თუნდაც იმიტომ, რომ სააკაშვილმა კონკრეტულად თქვა: აფხაზეთი არ იყო საქართველო. ყველაზე მთავარი ისაა, რომ სახელისუფლებო არხებმა პრეზიდენტის ეს განცხადება ამოჭრეს.

***– რას ნიშნავს ამოჭრეს?***

– იმას, რომ ეს განცხადება მათ არქივებში არსად არ დევს.

***– გამოდის, რომ ველარ დაამტკიცებთ, სააკაშვილმა ასეთი რამე რომ თქვა.***

– ეს შენახული აქვს მაესტროს. ეს არის პირდაპირი ჩართვა. და სიტყვა-სიტყვით შეიძლება ვნახოთ, რას ამბობს სააკაშვილი. ასეთი განცხადებების გაკეთებას უმჯობესია ხელისუფლებამ ჩვენი პარტნიორების რჩევა გაითვალისწინონ.

***– რა რჩევები, ბატონო მამუკა?***

– ისინი გვირჩევენ, საგარეო პოლიტიკა იყოს მოქნილი და მიზანმიმართული სეპარატისტული რეგიონების მიმართ. მოგვიწოდებენ კონსტრუქციული და პრაგმატული ნაბიჯების გადადგმისკენ. საუბარია ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე. ასევე ითხოვენ, გადაიხედოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. ეს ყველაფერ წერია რეკომენდაციაში, რომელიც განკუთვნილია საქართველოს ხელისუფლებისადმი.

***– დასავლელი პარტნიორების რჩევას ხელისუფლება ყოველთვის ითვალისწინებს ხოლმე. ამჯერად თუ გაითვალისწინებენ?***

– ვერ დაგეთანხმებით, რომ ხელისუფლება დასავლელი პარტნიორების რჩევას ყოველთვის ითვალისწინებს. შესაბამისად არ მოხდება ამ რეკომენდაციების გათვალისწინებაც. პრეზიდენტმა ერთხელ ღიად თქვა, რომ დაკარგული ტერიტორიები მისთვის ქვების გროვაა და მეტი არაფერი. აფხაზეთი და სამაჩაბლო რომ ხელისუფლებისთვის არაფერს ნიშნავს, ეს ობამა სააკაშვილის შეხვედრის დროსაც გამოჩნდა. იმ შეხვედრაზე სააკაშვილს კონფლიქტის მოგვარების თემა საერთოდ არ უხსენებია. დიქტატორული მმართველობის გვირგვინად კი შეიძლება ჩაითვალოს 2 მაისის გამოსვლა. სადაც სააკაშვილი ამბობს, რომ აფხაზეთი საქართველო არ ყოფილა. ასეთი განცხადება, ჩემი აზრით, ომის დროს დაღუპული მეომრების შეურაცხყოფაა. ეს არის იმ ხალხის შეურაცხყოფა, ვინც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდა. ეს არის ასეულობით ათასი დევნილის შეურაცხყოფა, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდება. ამ წლების განმავლობაში მათ გაუუქმეს ყოველგვარი შეღავათი. ამის გარდა დევნილებს მათი ნების წინააღმდეგ ხან სად ჩაასახლებენ, ხან სად. იმ ადგილებში ადამიანური ცხოვრების ელემენტარული პირობებიც კი არ არის.

***– დევნილებს ხელისუფლება დახმარებას ხომ აძლევს?***

– დახმარება არის 28 ლარი. ეს თანხა საარსებო მინიმუმის მეხუთედიც კი არ არის. ამ პოლიტიკის შემყურე დევნილებისთვის ნათელია, რომ მათ საკუთარ სახლებში არავინ არ დააბრუნებს. დიქტატორულ ხელისუფლებასთან ბრძოლაში ერთადერთი სწორი სტრატეგია მხოლოდ წარმომადგენლობით სახალხო კრებას აქვს. სახალხო კრებას აქვს შემუშავებული გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს კონფლიქტების მოგვარება. ეს იქნება შერიგება.

***– მოდით, ისევ პრეზიდენტის და ხაბაზის განცხადებას დავუბრუნდეთ. სოხუმს ალბათ გაეხარდა, როცა ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა თქვეს, აფხაზეთი საქართველო არ ყოფილაო.***

– ალბათ გაეხარდებოდათ. ჩემთვის ამ ეტაპზე მათი რეაქცია ცნობილი არ არის. მე ვიცი დევნილების რეაქცია. ისინი შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს. მეც, როგორც აფხაზი, შეურაცხყოფილი ვარ. იმიტომ, რომ აფხაზეთი ყოველთვის საქართველო იყო.

***– თავის გამოსვლაში პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აფხაზეთში ქართულად არ ლაპარაკობდნენ. ეს მართლაც ასე იყო.***

– კი ბატონო, ქართული ლაპარაკი ნაკლებად ისმოდა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ქართულად არავინ ლაპარაკობდა. აფხაზეთში ძალიან ბევრი ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა. მათი საკომუნიკაციო ენა იყო რუსული. უკაცრავად, მაგრამ განა ასე არ იყო სხვა რეგიონებში. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, მგონი, დღემდე რუსულად საუბრობენ. აფხაზეთში ომი და უბედურება რომ არა, დღეს იქ ყველა ქართულად და აფხაზურად ილაპარაკებდა. მოგეხსენებათ, რომ აფხაზური ისეთივე სახელმწიფო ენაა, როგორც ქართული.

# ბათუმში, იუნკრების საფლავზე თურქულ სასტუმროს აშენებენ

**„ახალი თაობა" უკვე იუწყებოდა, რომ ბათუმში იუნკრების საფლავის მიმდებარე ტერიტორია გაიყიდა. ეს ის ტერიტორია გახლავთ, სადაც ხელისუფლება აზიზიეს მეჩეთის აშენებას აპირებდა.**

თეა მარხვაიძე

კობა ხაბაზის და სხვა ნაციონალების თავგამოდებამ შედეგი არ გამოიღო. ბათუმის მოსახლეობამ კატეგორიული უარი თქვა იუნკერების საფლავზე მეჩეთი აღემართათ.

მეუფე დიმიტრიმ კი პარაკლისი გადაიხადა. და ამ ადგილზე ჯვარი აღმართეს. ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ამ ღონისძიებას პროვოკაციად მიიჩნევდა. მათი მტკიცებით, ეს ყველაფერი რელიგიურ შუღლს გამოიწვევდა. პროგნოზმა არ გაამართლა. შუღლი არ გამოვიდა. რადგანაც იმ აქციებში მუსლიმანებმაც მიიღეს მონაწილეობა. ისინიც აზიზიეს მეჩეთის წინააღმდეგი გამოვიდნენ.

მუსლიმური თემის წარმომადგენლების განცხადებით, აზიზიეს მეჩეთში ადგილობრივი მუსლიმები არასდროს დადიოდნენ. რადგანაც ის დამპყრობელ სულთანთან ასოცირდებოდა.

ერთობლივმა პროტესტმა შედეგი გამოიღო. ამ ადგილას აზიზიეს მეჩეთი აღარ აშენდება. მას სადმე სხვა ადგილზე დადგამენ. ყოველ შემთხვევაში ხაბაზმა შემოგვითვალა, რაც გინდა ქენით ეს მეჩეთი მაინც აშენდებაო.

რაც შეეხება იუნკერების საფლავის მიმდებარე ტერიტორიას, ის როგორც უკვე ვიუწყებოდით თურქ ინვესტორს მიჰყიდეს.

გუშინ კი ბათუმში იუნკერების საფლავთან არსებული ტერიტორია შემოიღობა.

როგორც „ნიუსპრესს" მოძრაობა „ემსახურე საქართველოს" თავმჯდომარემ და პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების" წარმომადგენელმა მურმან დუმბაძემ განუცხადა, მისი ინფორმაციით, აღნიშნულ ტერიტორიაზე არა აზიზიეს მეჩეთის, არამედ სასტუმროს მშენებლობა იწყება.

მისი თქმით, ბათუმში მეჩეთის მშენებლობის დაწყების პერსპექტივა არ არსებობს.

– გულმოდგინედ ვადევნებთ თვალყურს ამ პროცესს და გარწმუნებთ, რომ ბათუმში აზიზეის მეჩეთი არასდროს აშენდება. ამას ვამბობ საქართველოს მოსახლეობის განწყობის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციის, საპატრიარქოსა და მისი მრევლის განწყობის საფუძველზე, – განუცხადა „ნიუსპრესს" დუმბაძემ.

მისი თქმით, საფლავთან არსებული ტერიტორია თურქ ინვესტორს


მურმან დუმბაძე

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ მიჰყიდა.

– ტერიტორია სასტუმროსთვის შემოღობეს, რომელიც ლევან ვარშალომიძემ ვინმე თურქ ინვესტორს 1 ლარად მიჰყიდა, საფლავებზე სასტუმრო უნდა დაადგას, თუმცა, ეს სხვა თემაა და აზიზეის მეჩეთს არ უკავშირდება, – განაცხადა დუმბაძემ.

მისი ინფორმაციით, თურქი ინვესტორი აღნიშნულ ტერიტორიაზე 48 სართულიანი სასტუმრო-კომპლექსის აშენებას აპირებს.

არადა ამ ხელისუფლებამ თბილისში დიდი ზარ-ზეიმით მოგვიწყო ოკუპაციის მუზეუმი. ბათუმში დაკრძალული იუნკერები კი სწორედ ამ ოკუპაციის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

# „ქართულ ოცნებას" ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა უერთდება

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი დღეს, ფეხბურთელ მურთაზ ხურცილავას შეხვდა. „ქართული ოცნების" ინფორმაციით, შეხვედრის შემდეგ ფეხბურთელმა პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში" გაწევრიანების გადაწყვეტილება მიიღო. მურთაზ ხურცილავამ განაცხადა, რომ შემოთავაზების მიუხადავად, დღემდე არცერთი პარტიის წევრი არ ყოფილა. მისივე თქმით, დღეს ის ბიძინა ივანიშვილის გვერდით დადგება, იმისთვის, რომ ქართველ ხალხთან ერთად, ქართული ოცნება აიხდინოს.

„ბატონი მურთაზ ხურცილავა ყოველთვის ჩემი საოცნებო ფეხბურთელი იყო. მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მასთან საუბარი მოვახერხე. რაც მთავარია, ბატონ მურთაზს ისეთივე განწყობა აქვს, როგორიც ჩვენ" – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. მისივე თქმით, დღეს ერთადერთი სწორი ადგილია იქ, სადაც ოპოზიცია და „ქართული ოცნება".

ნიუსპრესი

# პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხზე ჯონდი ბაღათურია არასამთავრობოებს შეხვდა

პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურისთვის საჭირო დოკუმენტაცია დღეს ოპოზიციონერმა დეპუტატმა, „ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბალათურიამ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გააცნო.

ბალათურიამ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დეპუტატებს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე 22 მაისს შესთავაზა.

იმპიჩმენტის საფუძვლად ბალათურია იმ ფაქტს ასახელებს, რომ მიხეილ სააკაშვილმა ქვეყანა დატოვა და უცხოეთში მაშინ გაემგზავრა, როდესაც დედაქალაქსა და რეგიონებში სტიქიური უბედურება მოხდა და ამავე დროს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიის ნაწილი დაიკავეს. როგორც დეპუტატმა აღნიშნა, საიმპიჩმენტო დასკვნის მოსამზადებლად, საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებს ის ასევე პრეზიდენტისა და მისი ოჯახის კორუფციისა და უკანონო შემოსავლების შესახებ მის მიერ მოპოვებულ მასალებს უგზავნის.

„2004 წელს პრეზიდენტი დეკლარაციით სულ 123 ათასი ლარის ქონებას ფლობდა, ხოლო 2011 წელს კი მას დეკლარირებული აქვს 1 269 167 ათასი ლარის ქონება" – განაცხადა ბარათურიამ.

ამასთანვე იგი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტისა და მისი მეუღლის შემოსავლები ჯამურად არ ემთხვევა დეკლარირებულ ქონებას და სააკაშვილი ფლობს აღურიცხავ ქონებას.

„პრეზიდენტი სისხლის სამართლებლივ დანაშაულშია ეჭვმიტანილი და დეპუტატი, რომელიც ამ საკითხის გამოკვლევით არ დაინტერესდება, ხდება დანაშაულის თანამონაწილე" – განაცხადა ბალათურიამ.

ასევე, მან „ქართუ ბანკის" მიერ პრეზიდენტის ოჯახის წევრებზე განხორციელებული გადარიცხვები წარადგინა, რაც ბალათურიას მტკიცებით უკანონო იყო. ბალათურიას თქმით, მის ინიციატივას ხელს ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის" წევრები მოაწერენ, ხოლო საპარლამენტო უმცირესობამ მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. ამასთანავე, დეპუტატი აცხადებს, რომ მას კონსულტაციები საპარლამენტო უმრავლესობის რამდენიმე წევრთანაც აქვს.

ნიუსპრესი


ჯონდი ბალათურია

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირაკლი ბათიაშვილი: „რომან დუმბაძე ქართული სპეცსამსახურების დავალებით მოკლეს"

ნონა ცაბაძე

**მოსკოვში ტრაგიკულად დაღუპული ქართველი გენერალი რომან დუმბაძე გუშინ საქართველოში გადმოასვენეს. სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი ეჭვს გამოთქვამს, რომ დუმბაძე ქართველი სპეცსამსახურების დავალებით არის მოკლული.**

„ახალი თაობა" **ირაკლი ბათიაშვილთან** ინტერვიუს გთავაზობთ.

***– ბატონო ირაკლი, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, თქვენ გარდაცვლილ გენერალთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა გქონდათ. მის ცხედარს დღეს ჩამოასვენებენ თბილისში. რას ფიქრობთ მომხდართან დაკავშირებით?***

– მე დიდი მწუხარება მინდა გამოვთქვა რომან დუმბაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ვინაიდან რომან დუმბაძესა და მე, ძალიან კარგი, ახლო ურთიერთობები გვქონდა. მე მას ყოველთვის ვაფასებდი, როგორც უაღრესად კეთილშობილ, ღირსეულ ქართველს, პატრიოტს და პროფესიონალ სამხედროს. მე მას ყოველთვის კარგი კუთხიდან ვიცნობდი, თუმცა განსაკუთრებით ჩვენ დავახლოვდით პატიმრობაში ყოფნის დროს. ზონაში ერთად ვიყავით მე და რომან დუმბაძე და იქ, რა თქმა უნდა, ჩვენ უფრო ახლო ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა. მინდა აღვნიშნო, რომ რომან დუმბაძე ყოველთვის გამოირჩეოდა, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი ქართველი. ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დროს, მან აჭარაში შეკრიბა 150 მეომარი და წამოვიდა აფხაზეთში საომრად. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი აჭარის ხელმძღვანელობა არ იყო ამისი მომხრე. მე ხაზი მინდა გავუსვა, რომ ეს პრობლემა არსებობდა, იცით, რომ აჭარის ხელისუფლება წინააღმდეგი იყო, ვინმე ჩაბმულიყო აჭარიდან ამ შეიარაღებულ კონფლიქტში, ამ ომში და მიუხედავად ამისა, რომან დუმბაძემ შეკრიბა 150 კაცი, ჩამოვიდა აფხაზეთში და ვაჟკაცურად იბრძოდა. ის ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი კვალიფიციურობით და კაცობით. როდესაც იგი დააპატიმრეს, საშინელი ვადა პატიმრობის მიუსაჯეს, ისე, რომ ის იქიდან ცოცხალიც ვერ გამოვიდოდა. გახსოვთ, პრეზიდენტმა რა კომენტარები გააკეთა მის დაპატიმრებასთან დაკავშირებით. გეტყვით, რომ ეს იყო მის მიმართ პირდაპირ პოლიტიკური ანგარიშსწორება. ხომ გახსოვთ, რისთვისაც დაიჭირეს?!

***– სამშობლოს ღალატისთვის...***

– რამე დააშავა? რომან დუმბაძე იმ პერიოდში ბრიგადის მეთაურიც აღარ იყო. მე ვიყავი ამ ხელისუფლების პოლიტიკური პატიმარი და დუმბაძის მიმართაც განხორციელდა პოლიტიკური ანგარიშსწორება, პოლიტიკური დევნა. ეს მოხდა არაფრის გულისთვის, არანაირი დანაშაულისთვის იგი იქნა დაპატიმრებული და მას მიესაჯა ძალიან დიდი ხნით პატიმრობაში ყოფნა.

***– თუმცა, ის ტყვეებში გაიცვალა...***

– როდესაც რუსებმა 2008 წელს მოითხოვეს მისი გადაცვლა ტყვეებში და გამოიყვანეს ზონიდან. ეს მისი სურვილი კი არ ყოფილა, რომან დუმბაძის ნებაზე კი არ იყო ეს დამოკიდებული. რომან დუმბაძეს კიდევაც, რომ ხელები და ფეხები გაეფშიკა და ეთქვა, არა ციხეში უნდა ვიყო და არ მინდა გარეთ გასვლაო, სულ ძალით გააგდებდნენ იქიდან. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ მაშინ ასე სჭირდებოდა ჩვენს ხელისუფლებას. ნურავინ ნუ უსაყვედურებს რომან დუმბაძეს იმას, რომ რატომ იქნა იგი განთავისუფლებული, რატომ იქნა იგი გადაცვლილი ტყვეებში. ეს მის ნებაზე არ იყო დამოკიდებული. ამ კაცმა დიდი სატანჯველი გაიარა, უზარმაზარი უსამართლობა და საშინელი სისასტიკე ნახა ამ ხელისუფლების მხრიდან. ამას დაემატა ისიც, რომ ასე ტრაგიკულად დაიღუპა. გეტყვით იმასაც, რომ მისი პატიმრობის დროს, მთელი მისი ოჯახი უდიდეს გაჭირვებაში იყო. ხშირად ისიც უჭირდათ, რომ მისთვის სიგარეტი გამოეგზავნათ. სხვათა შორის, როდესაც იძულებული გახდა, მოსკოვში წასულიყო, მე ვიცი, რომ იქაც ძალიან უჭირდა მის ოჯახს. მე მის მეუღლეს კარგად ვიცნობდი. ის იქ ფუფუნებაში რუსეთის მხრიდან არ ყოფილა. იქაც ძალიან გაჭირვებულად იყო.

***– მის მკვლელობას რაც შეეხება, თქვენი აზრით ვის აწყობდა მისი სიკვდილი?***

– რომან დუმბაძე არასდროს არ იყო ჩაბმული ფინანსურ მაქინაციებში, ან რაღაც კომერციულ გარიგებებში, მით უმეტეს, შავი ბიზნესის გარიგებებში და მაფიოზურ საქმეებში არასდროს არ ყოფილა ჩაბმული. ერთადერთი, მსხვილი თანამდებობის პირი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აბაშიძის მმართველობის პერიოდში, რომელიც წამოვიდა უკაპიკოდ, ეს იყო რომან დუმბაძე. მის პატიოსნებაზე ვერავინ ვერაფერს იტყოდა. მე ვერავინ დამაჯერებს, რომ რომან დუმბაძე მოსკოვში მაფიოზურ და კრიმინალურ საქმეებში ყოფილიყო ჩართული. ის პატიოსანი კაცი იყო და მთელი ცხოვრება დაკავებული იყო სამხედრო საქმიანობით.



ირაკლი ბათიაშვილი

***– ითქვა, რომ მოსკოვში ის ასლან აბაშიძის გარემოცვაში ტრიალებდა...***

– შეიძლება ადამიანური ურთიერთობები ქონდა, მაგრამ ეს ხომ არაფერს არ ნიშნავს?! რაც შეეხება მის მკვლელობას, მე სერიოზულ ეჭვს გამოვთქვამ, რომ რომან დუმბაძე, ისევ და ისევ პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით ხო მარ არის მოკლული ქართული სპეცსამსახურების დავალებით. აი, ასეთ ეჭვს გამოვთქვამ, რადგან ძალიან მეეჭვება, რომ სხვა მოტივაცია ყოფილიყო რომან დუმბაძესთან ანგარიშსწორების.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ კვალი საქართველოში მოდის?***

– მე მგონია, რომ ამის უკან ისევ პოლიტიკური დევნის მოტივაცია დგას. მე ვალდებულად ვთვლი თავს, ამაზე ვისაუბრო, რადგან ეს პიროვნება აღმოჩნდა ასე სასტიკად დაჩაგრული. ჯერ უსამართლოდ დააპატიმრეს და ციხეში ჩააგდეს ამხელა ვადით და შემდეგ მოკლული...

***– ბატონო ირაკლი, მოდით, კიდევ ერთ თემას შევეხოთ. ხვალ 26 მაისია. შარშან 26 მაისს თქვენ ამ ყველაფრის ქარცეცხლში ტრიალებდით, გავიხსენოთ ის პერიოდი. დღევანდელი გადასახედიდან როგორ შეაფასებდით იმ მოვლენებს?***

– თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ 26 მაისს, პატიმართა გარკვეული რაოდენობა, სხვადასხვა ციხეებში და ზონებში, პროტესტის ნიშნად ერთდღიან შიმშილობას აპირებენ. ამას აპირებენ პოლიტიკური პატიმრები. 26 მაისი ჩემთვის ყოველთვის იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღი. მე კარგად მახსოვს 1988 წლის 26 მაისი, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ სერიოზული აქციით, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის. მაშინ ჩვენ დაგვარბიეს, შეჯახებაც მოგვიხდა მილიციასთან და მიუხედავად ამისა ჩვენი გავიტანეთ და აღვნიშნეთ 26 მაისი. ხალხის დიდმა ნაწილმა სწორედ მაშინ გაიგო, რომ 26 მაისი არის საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. საბჭოთა პერიოდში საზოგადოების დიდმა ნაწილმა არც იცოდა, რომ 26 მაისი დამოუკიდებლობის დღეა. ის აქცია ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ეს იყო გარიჟრაჟი ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის. მაშინ, 80-იან წლებში ჩვენ ვიბრძოდით დამოუკიდებლობისთვის, ჩვენ ახლა გვიწევს ბრძოლა თავისუფლებისათვის. დღეს ჩვენ გვიხდება ცხოვრება ავტორიტარული ხელისუფლების, მონობის და მუდმივი შიშის პირობებში. ერთი პატარა ჯგუფი მმართველი ელიტის დღეს არის გაფურჩქნული, აყვავებული, გაზულუქებული და დანარჩენი მთელი მოსახლეობა არის მორალურად, ფიზიკურად და სოციალურად, ყველანაირად დატერორებული და დათრგუნული. ჩვენ გვინდა შევქმნათ თავისუფალი საზოგადოება, აი ამისთვის ვიბრძვით. შარშანდელი 26 მაისი, ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა და მთელი ის აქციები, რომელიც მიძღვნილი იყო 26 მაისისადმი. ეს იყო ჩვენი საზოგადოების ბრძოლა თავისუფლებისათვის. ჩვენმა საზოგადოებამ მაშინ აჩვენა, რომ მასში არის ეს მუხტი და ძალა, რომ იბრძოლოს თავისუფლებისათვის. სწორედ ამიტომ, შარშანდელი 26 მაისი, ეს იყო გარდამტეხი მნიშვნელობის მქონე თარიღი.

***– რას გულისხმობთ?***

– რაღაც პერიოდი იყო დათრგუნული ჩვენი საზოგადოება, რაღაც პერიოდი ხელისუფლება ზეიმობდა თავის გამარჯვებას, მაგრამ ხელისუფლებამ მალევე დაინახა, რომ წინააღმდეგობის პროცესი არის შეუქცევადი. ამაში კი უდიდესი წვლილი შეიტანა სწორედ 26-მა მაისმა. ასევე ხელისუფლებამ აჩვენა თავისი რეალური სახე. ის საზოგადოების წინაშე კიდევ ერთხელ გაშიშვლდა. ასევე სახე აჩვენა საერთაშორისო საზოგადოებასაც.

# მთავრობამ რკინიგზის გაყიდვა გადაიფიქრა

ნათია ხურცილავა

რამდენიმე დღის წინ საინფორმაციო სააგენტო „როიტერმა" ინფორმაცია გაავრცელა, „საქართველოს რკინიგზის" ლონდონის საფონდო ბირჟაზე გატანასთან დაკავშირებით. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ საფონდო ბირჟაზე აქციების 25 პროცენტის გატანა გადაიდო.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა დაადასტურა, რომ „საქართველოს რკინიგზის" აქციების 25 პროცენტის საფონდო ბირჟებზე გატანა გადაიდო. როგორც გილაურმა მთავრობის გუშინ გამართულ სხდომაზე განაცხადა, აქციების 25 პროცენტის ბირჟაზე გატანის გადადების მიზეზი ბაზრებზე არსებული ცუდი მდგომარეობა გახდა. – ჩვენ კონსულტაციები გვქონდა ბანკირებთან, ინვესტორებთან ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში. სამწუხაროდ, ბაზრები იმდენად ცუდია, გაფუჭდა ბოლო დღეების განმავლობაში, რომ ამის გაკეთება არ გვირჩიეს, – განაცხადა ნიკა გილაურმა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღის წინ ბაზრები კარგი იყო და გაზის კორპორაციამ წარმატებული ევრობონდი გამოუშვა, ამ ეტაპზე საკმაოდ ცუდი მდგომარეობაა.

როგორც ნიკა გილაურმა აღნიშნა, ბაზრებზე არსებული მდგომარეობა გამოწვეულია საბერძნეთისა და ესპანეთის ფინანსური კრიზისით.

– ბაზრებზე ცუდი მდგომარეობა გამოწვეულია საბერძნეთის და ესპანეთის პრობლემებით. შესაბამისად, რკინიგზის აქციების ბაზრებზე გატანა გადავდეთ, ვიდრე მდგომარეობა გამოსწორდება, – განაცხადა ნიკა გილაურმა.



კიდევ ერთი საკითხი, რაზეც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა კომენტარი გააკეთა ნატოს ჩიკაგოს სამიტი იყო.

ნატო-ს ჩიკაგოს სამიტის შედეგები პრემიერმა ერთგვარად შეაჯამა. როგორც მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, მნიშვნელოვანი იყო, რომ სამიტის შედეგების მიხედვით, საქართველო გახდა „ასპირანტი" სახელმწიფო სამ ბალკანურ ქვეყანასთან ერთად.

გილაურის თქმით, ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ საქართველომ სამივე ფორმატის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

პრემიერის აზრით, აღსანიშნავია ასევე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის განცხადება, რომ ჩიკაგოს სამიტი ბოლო სამიტია, რომელზეც გაფართოება არ მოხდა.

– აქცენტი გაკეთდება იმ ასპირანტ ქვეყნებზე, რომელთა შორის საქართველოცაა, – განაცხადა ნიკა გილაურმა.

პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს იმ მოსამზადებელი სამუშაოებისათვის, რაც საგარეო უწყებამ და სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ნატო-ს სამიტისთვის გასწია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც მთავრობის სხდომაზე ისაუბრეს ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის საკითხს შეეხება.

ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრის ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სახელმწიფო დააზღვევს.

2012 წლის პირველი სექტემბრიდან სახელმწიფო 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს დააზღვევს.

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც ჭიაბერაშვილმა აღნიშნა, დღეს საქართველოში 18 წლამდე ასაკის 8 645 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია დარეგისტრირებული, რომლებიც სახელმწიფოსგან ყოველთვიური პენსიის სახით 70 ლარს იღებენ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდების სამედიცინო დაზღვევა სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, ექიმთან კონსულტაციებს, ლაბორატორიულ და ინსტრუმენტულ გამოკვლევებს, გადაუდებელ მკურნალობას სამედიცინო დაწესებულებაში, გეგმურ და გადაუდებელ ქირურგიულ ოპერაციას, ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობას და დიაგნოსტიკას, ასევე მედიკამენტებს ითვალისწინებს. შემოდგომიდან 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან ერთად, ასევე სახელმწიფო დაზღვევით ისარგებლებს 600 000-ზე მეტი პენსიონერი, 5 წლის ჩათვლით ასაკის 300 000-ზე მეტი ბავშვი და 100 000-მდე სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი.

# გამყრელიძე უწყლოდ დარჩენილ სოფლებს ესტუმრა

**„ახალი მემარჯვენეები" საქართველოს რეგიონებში მოგზაურობას განაგრძობენ. „ახლების" ლიდერები სოფლებში არსებულ უმძიმეს მდგომარეობაზე საუბრობენ. მათი განცხადებით სოფლებში მცხოვრები ადამიანები მიტოვებულები არიან.**

ნათია ხურცილავა

„ახალი მემარჯვენეების" ლიდერები დავით გამყრელიძე და ფიქრია ჩიხრაძე სიღნაღის რაიონის სოფლების – ხორნაბუჯის და ძველი ანაგას მოსახლეობას შეხვდნენ და მათ პრობლემებს გაეცნენ.

დავით გამყრელიძის განცხადებით, ხორნაბუჯის და ძველი ანაგის მოსახლეობა განსაკუთრებულ უკმაყოფილებას მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურის გამო გამოთქვამს.

გამყრელიძის განცხადებით, მოსახლეობისთვის ისევ პრობლემაა წყალი და გზა. პრობლემაა არა მხოლოდ სასმელი წყალი, არამედ ე.წ. ტექნიკური წყალი.

– სოფელ ხორნაბუჯამდე მისასვლელი გზა სავალალო მდგომარეობაშია, ხოლო წყლის პრობლემა ორივე სოფლისთვის დღემდე მოუგვარებელია. ამ სოფლების მოსახლეობას ყოვლად აუტანელ და წარმოუდგენელ პირობებში უწევთ ცხოვრება. არათუ სასმელი წყლის, არამედ საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის და საქონლისთვის საჭირო წყლის მოტანაც კი ადამიანებს კილომეტრებით დაშორებული წყაროებიდან უწევთ. მთელ დღეებს ეს ხალხი წყლის უზარმაზარი ჭურჭლების გადატანას და წყლის რიგში დგომას უნდება. ხელისუფლება და ინფრასტრუქტურული სახელმწიფო პროგრამები კი, ხორნაბუჯელი და ძველი ანაგელი გლეხებისთვის მხოლოდ ტელევიზორში არსებობს –, განაცხადა დავით გამყრელიძემ გლეხებთან შეხვედრის შემდეგ. „ახალი მემარჯვენეების" ერთ–ერთი ლიდერი, მანანა ნაჭყებია მარტვილში, ვედიდკარის თემის სოფლების მოსახლეობას შეხვდა.

მანანა ნაჭყებიამ სოფელ მუხურჩას სკოლის მოსწავლეებს საჯარო სკოლებს შორის გამართულ „მხიარული სტარტებში" პირველი ადგილის, ხოლო ახალგაზრდა ინტელექტუალთა შეჯიბრში „რა? სად? როდის?" მეორე ადგილის დაკავება მიულოცა. – მარტვილის რაიონის ვედიდკარის სოფლების მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს ეკონომიკის სამინისტროს მიერ მათი სოფლების კუთვნილი მიწების გასხვისების გამო. სოფლები ისედაც მცირემიწიანია. გლეხებს პრეზიდენტ სააკაშვილის ხელმოწერით დაკანონებული ჰქონდა და ამის მიუხედავად, ეკონომიკის სამინისტრომ, ყველასგან დაუკითხავად და შეუთანხმებლად, მიწები თვითნებურად, გლეხების საკუთრების უფლების უხეში შელახვით ამ ადამიანებს გაუყიდა, – განაცხადა მანანა ნაჭყებიამ.

მისი თქმით, ინფრასტრუქტურული პროექტები და სოფლის განვითარების პროგრამები ამ სოფლებს პრაქტიკულად არ შეხებია.

– ელექტროენერგიის გადამცემი ბოძები უკვე ათეული წლებია არ გამოცვლილა და თითქმის მთელი ქსელი ამორტიზებულია. მცირე ქარის და წვიმის შემთხვევაში ელექტროსადენები ზიანდება და სოფლები ხშირად უშუქოდ რჩება; რეგიონის ხელისუფლებას კი, ამ ადამიანების ყოველდღიური პრობლემებისგან ხელები აქვს დაბანილი, – განაცხადა მანანა ნაჭყებიამ.

ნაჭყებიას განცხადებით, გლეხები სპეციალური სალიზინგო პროგრამის შემუშავებას და ამოქმედებას ითხოვენ, რათა მიკროტრაქტორების შეძენა მოახერხონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სააკაშვილი აბსოლუტურად სხვა სამყაროშია

გულიკო ბალაძე

**როგორ აფასებს ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი ნოდარ მგალობლიშვილი ქართველი საზოგადოების დღევანდელ მდგომარეობას, რას ელოდება 27 მაისს თავისუფლების მოედანზე დაგეგმილი „ქართული ოცნების“ აქციისაგან და როგორ უნდა მივაღწიოთ საწადელს, ანუ ხელისუფლების ცვლილებას არჩევნების გზით, ამის თაობაზე სახელოვანი მსახიობი ჩვენთან ინტერვიუში საუბრობს.**



***– ბატონო ნოდარ, რატომ უნდა მივიდეს ხალხი 27 მაისს თავისუფლების მოედანზე „ქართული ოცნების“ მიერ დაგეგმილ აქციაზე?***

– ჩემი აზრით, 7 ოქტომბრამდე ხალხი მიჩვეული იყო, ვიღაც დაუძახებდა, გავარდებოდა ყველა, დადგებოდა ტრიბუნასთან მთავრობის სახლის წინ. იყო გადადგომის მოწოდებები. ბოლოს ყველაფერი ისე დამთავრდა, რომ ხალხს აღარაფრის იმედი აღარ ჰქონდა, მაგრამ ხალხმა უნდა გაიგოს ერთი რამ – 7 ოქტომბრამდე პოლიტიკური სეზონი მკვდარი იყო. ამიტომ უნდა მივიდეს და გაიგოს, რა სიახლეა. დარწმუნებული ვარ, ადამიანი, რომელიც პოლიტიკაში სრულიად სხვა სფეროდან მოვიდა, ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს ქვეყნისთვის. ბიზნესი და პოლიტიკა რაღაცით ჰგვანან ერთმანეთს, ხერხები თითქოს ჰგავს, საკუთარი სურვილებისა და აზრების დემონსტრაცია იქაც ხდება, მაგრამ პოლიტიკა ძალიან სათუთია. ბიზნესი ისე ძალიან სათუთი არ არის, როგორც პოლიტიკა. პოლიტიკა და დიპლომატია ეხება ყოველი ადამიანის სულს. ბიზნესი კი, პირველ რიგში, მატერიალურს. პოლიტიკა და დიპლომატია პირდაპირ სულის მკვებავია. ან შხამიანია ის ძარღვები, ან – სასარგებლო და საზოგადოებას ამ მხრივ კვებავს მომავლისთვის. რა სჭირდება საქართველოს, ამის გარკვევა 27-დან თუ არ დაიწყო, ამ ქვეყნის დასასრული იქნება. არავითარი პერსპექტივა ამ ქვეყანას აღარ ექნება. 27-ში მოდის ისეთი ძალა, რომელსაც ყურის დაგდება უნდა და არა მექანიკურად, ანგარიშგების გარეშე, „პალატკების“ განწყობა, რომელმაც თავისი დრო მოჭამა.

***– მიგაჩნიათ, რომ ის გზა შეცდომა იყო?***

– ადამიანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, ჭეშმარიტებამდე რომ მივიდეს. ჭეშმარიტების მიგნება ადვილი არ არის. რა სჭირდება ამ საზოგადოებას, ჯერ ჩვენ არ ვიცით. რაც მთავარია, მოთმინება სჭირდება. რისთვის ვითმენთ? არჩევნებისთვის. ეს კოალიცია გვეუბნება, რომ არავითარი ზედმეტი მოძრაობა არ შეიძლება. თუ არჩევნებზე არ მივალთ და ჩვენს ხმას არ დავაფიქსირებთ, სხვანაირად არაფერი გამოვა. არ უნდა თქვა, ჩემი ხმა რას იზამს, მაინც არაფერს იზამს, ერთი ხმა მაინც არაფერს შეცვლისო. ყველა უნდა მივიდეს არჩევნებზე.

***– როგორ ფიქრობთ, თვითონ აქციამ როგორ შეიძლება ჩაიაროს, პროვოკაციები გამორიცხულია?***

– ადამიანების გონება ბოროტებისა და სიკეთის ზღვარზე გადის. ამდენი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს დედამიწაზე და როგორ შეიძლება წარმოიდგინო, რომ არ მოუვა ავადმყოფური აზრი, რომელიც ჩვენი საზოგადოებისთვის არ იქნება სასარგებლო. რასაკვირველია, ადამიანის ბოროტებასა დ სიკეთეს ზვარი არ აქვს. სად რა გამოჩნდება, არავინ იცის. ამისთვის საზოგადოება მზად უნდა იყოს. 27 მაისს ხალხმა უნდა დაინახოს, რას თხოულობს ეს ახალი მოძრაობა. ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა თუ არა, თქვა, მე მთელ ჩემს ქონებას ვდებ, რომ საქართველო სწორ გზაზე დავაყენო; არავის ვებრძვი კონკრეტულად. მე ვებრძვი მოძრაობას, რომელიც ძალიან ცუდია ქვეყნის მომავლისთვის. ეს სისტემა გამოხატვის საშუალებას არ იძლევა. ხალხი დაჩაგრულია. ადამიანებს რომ ვუყურებ, ჩემი თავიც მეცოდება და სხვაც. საზოგადოება ჩაბმულია ურთიერთობაში, როცა ერთი ფიქრობს, რას იტყვის მეორე და რას გააკეთებს ის იმისათვის, რომ მერე მე ვისარგებლოო. ეს არის ყველაზე ცუდი საზოგადოება. საზოგადოებაში საშინელი სიტუაციაა. ამიტომ არ მაქვს გარანტია იმისა, რომ ეს ხელისუფლება ნორმალურ საარჩევნო სიტუაციას შექმნის. ხელისუფლება ყველაფერს იზამს, რომ შეინარჩუნოს თავისი მდგომარეობა. დანაშაულზეც წავა, მაგრამ იმასაც თავისი ზომა და წონა უნდა, როგორ უნდა უპასუხოს ამას საზოგადოებამ.

***– იყო პერიოდები, როცა ხალხი მივიდა არჩევნებზე, მაგრამ გაყალბდა. ახლა რის იმედი გაქვთ, რა შეცვლის სიტუაციას?***

– ცხადია, არჩევნები ყალბდებოდა, მაგრამ მხოლოდ არჩევნებზე მისვლით საკითხი არ წყდება. არჩევნებზე რომ მიხვალ, შემდეგ შენი ხმა უნდა დაიცვა. უცხოეთის ქვეყნებში ასე ხდება. მაგალითად, რუმინეთში ხმა რომ მისცეს, შემდეგ ხალხი საარჩევნო უბნებთან დადგა. როცა შედეგები გამოაცხადეს, თქვეს, ჩვენ ყველამ მივეცით ხმა და იმისთვის ვდგავართ, ხმები დავიცვათო. ხმების დაცვა აუცილებელია. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ხმები როგორ უნდა დაიცვას.

***– ე.ი. ხმის მიცემის შემდეგ ხალხი საარჩევნო უბნებთან უნდა დადგეს და თავისი ხმა დაიცვას?***

– რასაკვირელია. ამას ორგანიზაცია სჭირდება, რაც ახლა ყალიბდება. აქამდე არ იყო ეს. ახლა თვითონ მმართველი პარტიაც ხშირად ლაპარაკობს, რომ არჩევნები უნდა იყოს გამჭვირვალე, უნდა ჩამივიდნენ დამკვირვებლები.

***– დიახ, ნატომაც კი განაცხადა, რომ დამკვირვებლებს გამოუშვებს.***

– ნატო დარწმუნებულია, რომ თავის რიგებში ისეთი ქვეყანა უნდა მიიღოს, სადაც არის დემოკრატია. რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, ის არც ნატოს მოსწონს და არც არავის. სააკაშვილი ძალიან კარგად იცნობს ქართველი ერის ბუნებას, მაგრამ თავისი ძალაუფლებით იმდენად გათავხედებულია, მომავალ 3-5, 20, 50 წელზე ლაპარაკობს, თითქოს მხოლოდ თვითონაა ერთი ამ ქვეყანაში და უფლისგან აქვს მიცემული ძალაუფლება. იმდენად არაადეკვატურია თავის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებით, რომ რას ლაპარაკობს, თვითონაც აღარ იცის. სააკაშვილი თავისი მომავლის გამო ძალიან შეშინებულია. ფიქრობს, რა იქნება. ის უკვე ხედავს, რომ მისი ხელისუფლების დასასრული ახლოვდება. როგორ შეიძლება ეს არ იცოდეს, მაგრამ ფიქრობს, თუ წიხლს დავჭერ ერთს, მეორეს შეეშინდება. ახლა აღმოჩნდა, რომ ერთმა ადამიანმა სრულიად შეცვალა ეს განწყობილება და სიტუაცია. სააკაშვილი ძალიან კარგად იცნობს ივანიშვილს და გაიაზრა, რა შეიძლება მოხდეს. შეიძლება მოხდეს ის, რომ ერმა თავისი თვისებები უცებ წამოატივტივოს და განრისხდეს, რაც ყველა ერსა და ყველა ადამიანს აქვს. ქართველებს ასი ათასი მოწამე გვყავს და ექვსი ათასი საეკლესიო პირი, მოძლვარი გაგვინადგურეს, მაგრამ ერი არსებობს. ხელმძლვანელი რომ ხარ, ამას ანგარიში უნდა გაუწიო. არაჩვეულებრივი რეიტინგით მოვიდა სააკაშვილი. ნორმალურად რომ ემართა ქვეყანა, 50 წელი შეიძლება მართლა ყოფილიყო, მაგრამ ამდენი შიმშილობა, თავში ჩარტყმა, ქუჩაში მკვლელობები, ახალგაზრდების განადგურება. ამდენი დაჭერები, ადამიანებს პირდაპირ ქუჩებში ხოცავს. ეს არავითარი ფაშიზმის გამომხატველი არ არის. ეს არის ასბოლუტური უჭკუობა.

სააკაშვილმა ძალიან ცუდი და ამასთანავე, ძალიან კარგი რამ ჩაიდინა. ქართველი ერი მიძინებული იყო და თავისი საქციელით გამოაფხიზლა. მაგას რომ ჭკუა ჰქონოდა, ქართველ ერს აბსოლუტურად გაანადგურებდა. თავისი საქციელით: თავისი კარგი მოპყრობით, პატარ-პატარა ქრთამების ალებით (როგორ დააბეჩავა ერი, ქეიფებში გადავედით) ამის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ამდენი ჭკუა არ ეყო იმიტომ, რომ ბოროტებას მოკლე ჭკუა აქვს.

***– ახლა ამერიკაში ახალგაზრდა ატლანტიკოსებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ საქართველოში მენტალური რევოლუცია მოხდა. აქამდე აცხადებდა, მენტალური რევოლუციაა საჭიროო.***

– საერთოდ, ამ ადამიანს თავშეკავების უნარი არ აქვს. ამ მთავრობას იმდენი ჭკუა უნდა ეყოს, რომ ისეთი რამეები არ ჩაიფიქროს, რომელიც მეორე წუთში ქვეყანამ გაიგოს. ვის ატყუებ? შეიძლება დაუჯდე რომელიღაც ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელს და უთხრა, რომ ჩვენისთანა ქვეყანა არ არსებობს მთელს მსოფლიოში? ან იძახო, ევროპაში არ არის იმისთანა კურორტი, წყალტუბო რომ არის და ნახეთ, ორ წელიწადში რა იქნებაო? მაცალეთ 3-5 წელი და ნახავთ, რას ვიზამო. კაცი, აბსოლუტურად სხვა სამყაროშია.

***– ეტყობა ამის მიზეზი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში უკანონო გზით ნაშოვნი დიდი ფულია. როგორც ჩანს, უცებ მოვარდნილი ფული სხვანაირ მდგომარეობაში აყენებს ადამიანს.***

– გააჩნია, ფული რა გზით გაქვს ნაშოვნი. როდესაც ქურდობითა და ყაჩაღობით გაქვს ფული ნაშოვნი, მისი ხარჯვაც ასევე ხდება. სააკაშილმა იმდენი ფული გააკეთა, რომ ხომ ხედავთ, სიმამრს, სიდედრს სულ ოფშორულ ზონებში დაურეგისტრირა საწარმოები. მაგას რომ ჭკუა ჰქონოდა და იმ ფულის ნახევარ ნახევარი დაედოთ, რაც იშოვეს, იმ ფულით ერს გაანადგურებდნენ. ესეც ვერ ქნეს. ისინი თავისი ბუნებით ხარბები არიან. იმდენად უჭკუოები არიან, ის მოპარული ფული რომ დაედოთ, შემდეგ ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ და ერთმანეთს გაანადგურებდნენ.

# ხატიაშვილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს აპროტესტებს

გულიკო ბალაძე

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა საქართველოში ევროკავშირის ელჩს ფილიპ დიმიტროვს ღია წერილით მიმართა.

– მსურს ჩემი შეშფოთება გაგიზიაროთ, რომელიც უკავშირდება მართლმსაჯულების რეფორმას საქართველოში და გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში გაატაროთ ქმედითი ღონისძიება მნიშვნელოვანი ხარვეზის აღმოსაფხვრელად“, – ნათქვამია მიმართვაში.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის შეშფოთების მიზეზი 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსია, რომლის ერთი მუხლი, კერძოდ კი, სსს კოდექსის 114-ე მუხლი (რომელიც მოწმეთა პირდაპირ სასამართლოში დაკითხვის წესს დააწესებდა) 2012 წლის ოქტომბრიდან უნდა ამოქმედებულიყო. ახლა კი ხელისუფლება ცდილობს, ეს ვადა 2013 წლის დეკემბრამდე გადაწიოს.

ზაზა ხატიაშვილი ფიქრობს, რომ ხელისუფლება მნიშვნელობანი პოლიტიკური პერიოდისთვის, კერძოდ კი, ოქტომბრის არჩევნების შემდგომი დროისთვის ემზადება და არ აწყობს ამ მუხლის ამოქმედება.

– საქართველოში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა საქართველოს სსს კოდექსი, რომელსაც მხარს უჭერდით თქვენ, აშშ-ის საელჩო, ამერიკის იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები. მე თავიდანვე აღშფოთებული ვიყავი ახალი სსს კოდექსით, ვამბობდი, რომ ეს მოსპობდა ადვოკატის როლს და ფუნქციას სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებაში. დრომ აჩვენა, რომ ახალი სსს კოდექსის შემოღებით, საქართველოში მართლმსაჯულება მოკვდა, – წერს ზაზა ხატიაშვილი. დიმიტროვს.

ზაზა ხატიაშვილი აღნიშნავს, რომ სააკაშვილის რეჟიმმა დიპლომატიურ კორპუსს წარუდგინა სხვა პროექტი, ხოლო შემდეგ ის სრულიად განსხვავებული რედაქციით მიიღო.

– ახალ სსს კოდექსის ძალაში შესვლის დღიდან, მასში დაახლოებით 100 ცვლილება შევიდა. შესაბამისად, აღნიშნული კოდექსი უდანაშაულო მოქალაქეთა დასჯის საშუალებად გადაიქცა. ერთადერთი, რაც ჰქონდა ახალ სსს კოდექსს, იყო 114-ე მუხლი, რომელიც გამოძიების დროს დაკითხვის წესს შეეხება. ამ მუხლში მითითებული იყო, რომ 114-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მოწმე უნდა დაკითხულიყო სასამართლოში მხარეთა მონაწილეობით. აღნიშნული მუხლით უქმდებოდა მოწმის დაკითხვის ფეოდალური წესი, როდესაც მოწმედ დასაკითხ პირს, იბარებდნენ საგამოძიებო უწყებებში, სადაც ხდებოდა მათზე ზემოქმედება, რათა გამოძიებას ადვოკატის მონაწილეობის გარეშე მიეღო მისთვის სასურველი ჩვენება.



საქმე ისაა, რომ სააკაშვილის რეჟიმმა ახალი სსს კოდექსის მიღების დროს შეიტანა დამატებითი 332-ე მუხლი, სადაც მიუთითა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედებაში იქნებოდა მოწმის დაკითხვის ძველი წესი. აღნიშნულის გამო მივმართე პარლამენტს, რომ არ დაეშვათ ამ მუხლის ჩასწორება, საქართველოს პარლამენტმა არც კი განიხილა ადვიოკატთა ასოციაციის პოზიცია.

საერთაშორისო ოგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრისას არაერთხელ განვაცხადე, რომ როდესაც მოახლოვდებოდა 20012 წლის 1 ოქტომბერი, სააკაშვილის რეჟიმი საკანონმდებლო ორგანოში დააყენებდა წინადადებას, სსს კოდექსში 114ე მუხლის (გამოძიების დროს დაკითხვის წესის) ამოქმედების ვადასთან დაკავშირებით. ყოველთვის ვამბობდი, რომ სანამ საქართველოში იქნება სააკაშვილის რეჟიმი, ესენი არ დაუშვებენ მოწმის დაკითხვას პირდაპირ სასამართლო პროცესზე.

ახლახან საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო შესწორება ახალ სსს კოდექსში 114-ე მუხლის (გამოძიების დროს დაკითხვის წესი) ამოქმედების ვადასთან დაკავშირებით და სურს მუხლის ამოქმედების ვადა 20013 წლის 1 დეკემბრამდე გადასწიოს, – აცხადებს ზაზა ხატიაშვილი.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის განცხადებით, სააკაშვილის რეჟიმს მოწმის დაკითხვა საგამოძიებო ორგანოებში თავისი ხელისუფლების შესანარჩუნებლად სჭირდება. ამ მუხლის დატოვება ნიშნავს ქიმერიძეების გამრავლებას. სააკაშვილს სურს ახალი ქიმერიძეები გამრავლდნენ საქართველოში.

– საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ 20012 წელს ორი ადამიანი გარდაიცვალა პოლიციაში მოწმის სტატუსით დაკითხვის შემდეგ. მაგრამ თქვენ ამ ფაქტთან დაკავშირებით განცხადება არ გაგიკეთებიათ, – მიმართავს ხატიაშვილი დიმიტროვს, – სააკაშვილის რეჟიმი სულდგმულობს მოქალაქეებზე განხორციელებული ძალადობით. განსაკუთრებით, პოლიციის განყოფილებებსა და საპატიმრო დაწესებულებებში.

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მეორე მუხლის თაობაზე (სიცოცხლის უფლების ხელყოფა) ევროპის სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილების თანახმად, თუ პირი ჯანმრთელ მდგომარეობაში შედის პოლიციის დაწესებულებაში და იგი იქ გარდაიცვალა, სახელმწიფომ პასუხი უნდა აგოს კონვენციის მეორე მუხლის დარღვევისთვის.

ზაზა ხატიაშვილი ღია წერილში აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალურადაა დაწესებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოწმის მიმართ, როგორც ცრუ ჩვენებისთვის, ასევე ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისთვის.

– საგამოძიებო ორგანოები ძალის გამოყენებით აიძულებენ მოწმეს, მისცეს ის ჩვენება, რაც აწყობთ საგამოძიებო ორგანოებს. თუ მოწმე ამხელს საგამოძიებო ორგანოს ძალადობაში და აძლევს რეალურ ჩვენებას, აუცილებლად იჭერენ მოწმეს ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისთვის. სწორედ ეს ფეოდალური გადმონაშთი უნდა დაენგრია ახალ სსს კოდექსის 114-ე მუხლს, – აღნიშნავს ზაზა ხატიაშვილი.

ზაზა ხატიაშვილს აინტერესებს, დიპლომატიური კორპუსს წარმომადგენლებისთვის რა უფრო მნიშვნელოვანია, სექსუალური უმცირესობის დაცვა თუ ადამიანების წამებისა და მკვლელობების უამრავი ფაქტის ალკვეთის საკითხი.

– ერთი კვირის წინ, თქვენ და სხვა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა გააკეთეთ განცხადებები სექსუალური უმცირესობის დაცვის მიზნით. ნუთუ დიპლომატიური კორპუსისთვის უფრო მნიშვნელოვანია სექსუალური უმცირესობის უფლებების დაცვა, ვიდრე ადამიანების წამებისა და მკვლელობების უამრავი ფაქტი.ს ალკვეთის საკითხი საპატიმრო დაწესებულებებსა და პოლიციელს განყოფილებებში? – მიმართავს დიმიტროვს ზაზა ხატიაშვილი.

ზაზა ხატიაშვილი, დიპლომატიურ კორპუსს მიმართავს, გამოიყენონ ყველანაირი დიპლომატიური ბერკეტი სააკაშვილის შესაჩერებლად.

– მოგიწოდებთ, სასწრაფოდ გამოიყენოთ ყველანაირი დიპლომატიური ბერკეტი, რათა საქართველოს პარლამენტმა არ შეიტანოს შესწორება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და არ გადაიტანოს 2013 წლის დეკემბრამდე სსს კოდექსის 114-ე მუხლის (გამოძიების დროს დაკითხვის წესი) ამოქმედების ვადა აღნიშნული შესწორება კიდევ უფრო გაამყარებს საქართველოში ავტორიტარულ რეჟიმს და საბოლოოდ მოსპობს დაცვის ინსტიტუტს.

ზაზა ხატიაშვილი ამბობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ძალაში დარჩება მოწმის დაკითხვის ფეოდალური წესი, გამოძიებას აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ჩვენება მოწმისგან ადვოკატის მონაწილეობის გარეშე, რაც დაცვას და ბრალდებას აყენებს არათანაბარ მდგომარეობაში. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილით და ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლით (სამართლიანი სასამართლოს უფლება) გარანტირებულ მხარეთა თანასწორობის პრინციპს.

– კანონპროექტის ავტორები კუბლაშვილი, კუკავა და ანჯაფარიძე აღნიშნავენ, რომ კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს. ეს არის სიცრუე და ქართველი სამოქალაქო საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. აღნიშნული შესწორება პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროკონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ მხარეთა თანასწორობის პრინციპს. თქვენ, როგორც ევროკავშირის ელჩი, ვალდებული ბრძანდებით, გააკეთოთ განცხადება ევროკონვენციასთან შეუსაბამო ცვლილებასთან დაკავშირებით, – მოუწოდებს ევროკავშირის ელჩს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე.

ზაზა ხატიაშვილის აზრით, ამაზე ქართველი საზოგადოება არ უნდა გაჩუმდეს.

# ობამას დღიურები: „თუ ხალხს ვეყვარები, ბრძოლას გავაგრძელებ“

– ძვირფასო დღიურო, ჯერ ისევ ძალიან ვღელავ, მართლა რომ დავმარცხდე? – ეს ამერიკის პრეზიდენტის ბარაკ ობამას პირადი ფრაზაა, რომელიც მან საკუთარ დღიურს გაანდო. ერთ-ერთმა, მსხვილმა ამერიკულმა გამოცემამ, კი პრეზიდენტის პირადი ჩანაწერები პოლიტიკურ ბლოგზე გამოაქვეყნა. არავინ იცის, საიდან მოხვდა ამერიკის პირველი პირის პირადი დღიური ამ გამოცემის ხელში, თუმცა, ფაქტია, რომ დღიურში ობამა საკუთარ გრძნობებსა და შიშებზე საუბრობს.

ამერიკის პირველი პირი უკვე, რამდენიმე წელია დღიურს აწარმოებს და ამ კონკრეტულ ჩანაწერებში ის, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, სტრატეგიულ პიარ-სვლებს ინიშნავს, რომელსაც გულმოდგინედ და დამოუკიდებლად ამუშავებს.

– დიახ, ვიცი, რომ ტელეარხ ფოქსისთვის არ უნდა მეყურებინა, რატომ არიან ისინი ჩემს მიმართ წინასწარ ცუდად განწყობილნი? ვიმედოვნებდი, რომ გეი-ქორწინებებთან დაკავშირებით ჩემი სვლა გაამართლებდა. მადლობა ელენ დეჯენერესს მხარდაჭერისთვის. ვერაფრით ვმშვიდდები. მიშელს დავპირდი, პოზიტიურად ვიაზროვნებდი. მაგრამ ის ვერ ხედავს, როგორ ცდილობენ ჩემთვის ტკივილის მოყენებას. გეგმა მჭირდება. ერთი საათი ვფიქრობდი და აი, სადამდე მივედი:

1. ვმუშაობთ „უილბლო-ქველმოქმედის“ იმიჯზე: როგორც ყოველთვის, საქველმოქმედო აქციებისა და სხვადასხვა ღონისძიებების გზით.

პლიუსები: მოგზაურობა, ხალხთან ურთიერთობა, ნობელის პრემიაზე ნომინირების შანსი.

მინუსები: ბილთან იმუშავა, ჯიმთან ჩავარდა. რა მოხდება, თუ ჩრდილოეთ კორეის პრობლემის მოგვარების პროცესში ჩამითრევენ?

2. ოპერაცია „სქათაქსს“, რა თქმა უნდა, დიდი დრო დასჭირდება. ყურადღება ჰარვარდის იურიდიულ სკოლაზე უნდა გავამახვილო, ბოლოს და ბოლოს, მე იქ იმ შემთხვევაშიც მიმიღებენ, თუ პრეზიდენტი ვერ გავხდები. ჰილარი ბილთან ერთად, სავარაუდოდ, რომნის გაუსწრებენ. ამ ორს კი ჩემი ვალი აქვთ. მშვიდად, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, ყველაფერს მოვასწრებ.

პლიუსები: დასვენების დღეები ჩიკაგოში. კალათბურთის მოედანი!

მინუსები: დამტიცების ხანგრძლივი პროცესი. ჯანდაცვის გადარჩენა შეუძლებელია.

3. წიგნების წერა. ამას ყველაფრის მიუხედავად გავაკეთებ! ბიოგრაფიას დავწერ. მერე რა? მე მითხრეს, რომ ეს კარგი აზრია, განსაკუთრებით თუ მასში სექსის სცენები არ იქნება.

პლიუსები: ჩემი ნამდვილი სიყვარული! იძულებითი მოწევა.

მინუსები: არ შემიძლია ნაგავში გადაგდებული ჯიმი კარტერის მემუარები დავივიწყო.

4. ბედი ჰოლივუდში უნდა ვცადო. იქ მეგობარი ჯორჯ კლუნი მყავს. „ჰაშბიოუსთვის“ სერიალი უნდა მოვამზადო, თუ როგორ გავხდი პრეზიდენტი. საჭირო ხალხი დამეხმარება.

პლიუსები: დასვენების დღეები ჰავაიზე. გოლფი

მინუსები: ოთხი წელი კორტეჟით სიარულის შემდეგ, მანქანის მართვას გადავეჩვიე.

5. მიშელს რამე უნდა მოვუხერხო. მას ჩემი კარიერის დიდი ხანია შურს. იქნებ მან ჰილარი შეცვალოს და ილინოისის შტატიდან სენატში კენჭი იყაროს? ოპრა ამბობს, რომ უმჯობესია ტელევიზიაში წავიდეს. ხო, კარგი აზრია, არხ „ვიუვისთვის“ რამეს მოვიფიქრებთ.

პლიუსები: ქორწინებაში ბალანსი

მინუსები: მას ტანსაცმლის დიზაინი უფრო აინტერესებს.

6. არჩევნების შედეგების მიხედვით გადავწყვეტ, რა ვქნა. თუ ხალხს ვეყვარები, ბრძოლას გავაგრძელებ...

დღეისთვის კმარა. მალე დავბრუნდები.

ბარაკი.

ბარაკ ჰუსეინ ობამა II (დ. 4 აგვისტო, 1961) – აშშ-ის პრეზიდენტი 2009 წლის 20 იანვრიდან. ყოფილი უმცროსი სენატორი ილინოისიდან და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წამყვანი კანდიდატი დემოკრატთა ნომინაციით. პირველი შავკანიანი პრეზიდენტი აშშ-ის ისტორიაში; ასევე აშშ-ის სენატის ისტორიის განყოფილების თანახმად ის მეხუთე აფრიკელი-ამერიკელი სენატორია აშშ-ის ისტორიაში, მესამე, რომელიც სახალხოდ აირჩა, და ერთადერთი აფრიკელი-ამერიკელი, რომელიც 2008 წლისთვის მსახურობდა სენატში.

2007 წლის თებერვალში საპრეზიდენტო კამპანიის დაწყებიდან ობამა აქცენტს აკეთებს ერაყში ომის დასრულებაზე, ენერგოდამოუკიდებლობის გაზრდაზე და საყოველთაო ჯანდაცვაზე, როგორც უმთავრეს პრიორიტეტებზე.

ობამა ჰონოლულუში დაიბადა კენიელი მამისა და ამერიკელი დედის ოჯახში. ადრეული ცხოვრების დიდი ნაწილი აშშ-ის შტატ ჰავაიზე გაატარა. ექვსიდან ათ წლამდე ჯაკარტაში, ინდონეზია, ცხოვრობდა დედასთან და ინდონეზიელ მამინაცვალთან ერთად. კოლუმბიის უნივერსიტეტისა და ჰარვარდის იურიდიული სკოლის კურსდამთავრებული ობამა მუშაობდა საზოგადოებრივ ორგანიზატორად, უნივერსიტეტის ლექტორად და სამოქალაქო უფლებების ადვოკატად, სანამ ილინოისის სენატში არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას, სადაც 1997-2004 წლებში მსახურობდა. 2000 წელს წარმომადგენელთა პალატაში ადგილის მოსაპოვებლად წარუმატებელი კამპანიის შემდეგ, ის 2003 წელს აშშ-ის სენატის ადგილისთვის კამპანიას იწყებს.

მომდევნო წელს, ჯერ კიდევ ილინოისის შტატის კანონმდებელი, ობამა სიტყვით გამოდის ივლისის დემოკრატიულ ეროვნულ კონვენციაზე. 2004 წლის ნოემბერში ხმების 70%-ით არჩეულ იქნა აშშ-ის სენატში.

1992 წელს დაოჯახდა და ორი ქალიშვილი ჰყავს. დაწერილი აქვს ორი წიგნი-ბესტსელერი: მისი ახალგაზრდობის მემუარი „ოცნებები მამაჩემისგან“ და „იმედის გამბედაობა“, პირადი კომენტარი აშშ-ის პოლიტიკაზე.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# „ნათელი ფერები ბავშვებს“

## „ბილაინის“ საქველმოქმედო აქცია გრძელდება

**„ბილაინი“ გლდანში არსებულ მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლთან ერთად სოციალური პასუხისმგებლობის აქციას „ნათელი ფერები ბავშვებს“ განაგრძობს.**



აქციის განმავლობაში, 21 მაისიდან 21 ივნისის ჩათვლით, „ბილაინის“ ნებისმიერი აბონენტი, რომელიც მობილურ ტელეფონს „ბილიანისაგან“ ან სასტარტო პაკეტს კომპანიის ახლად გახსნილ აბონენტთა მომსახურების ოფისში შეიძენს, საქველმოქმედო აქციის მონაწილე გახდება.

მობილური ტელეფონის ღირებულებიდან 1 ლარი, ხოლო ნებისმიერი სასტარტო პაკეტიდან 50 თეთრი გადაერიცხება მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლს და მათთვის საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენას მოხმარდება.

სოციალური პასუხისმგებლობის კამპანიის ფარგლებში, კომპანია „ბილაინი“ გლდანში მცხოვრებ ერთი კვირის წინ მომხდარი წყალდიდობით დაზარალებულ მრავალშვილიან ოჯახს დაეხმარება და სტიქიისას განადგურებულ საყოფაცხოვრებო ტექნიკას გადასცემს.

„ბილაინის“ გენერალური დირექტორის, სერგეი ზაკურაევის განცხადებით, ყოველ ქალაქსა თუ დაბაში, სადაც „ბილაინი“ შევა და გახსნის ახალ ოფისს, აუცილებლად დაეხმარება სოციალურად დაუცველ ადამიანებს, ხოლო აბონენტების გაზრდილი რაოდენობა კომპანიას შესაძლებლობას მისცემს, უფრო აქტიურად გააგრძელოს მზრუნველობამოკლებულთა დახმარება.

„ბილაინის მიერ წამოწყებული სოციალური პასუხისმგებლობის აქცია განკუთვნილია ბავშვებისათვის, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება ჩვენი მზრუნველობა, მახარებს ის ფაქტიც, რომ აქციაში ჩართვა „ბილაინის“ ნებისმიერ ახალ აბონენტს შეეძლება, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ისინიც სიამოვნებით მიიღებენ მონაწილეობას „ბილაინის“ ტრადიციულ წამოწყებაში. „ნათელი ფერები ბავშვებს“ არ არის ერთჯერადი ღონისძიება და უკვე ერთი წელია ყველა ჩვენი ახალი ოფისი მზრუნველობამოკლებული ადამიანების დახმარებისაკენ მიმართული აქტივობებით იხსნება. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ დავეხმარეთ როგორც თბილისში, ასევე სხვადასხვა რეგიონში არსებულ ბავშვთა სახლებს.“ – განაცხადა სერგეი ზაკურაევმა.

კომპანიის კომერციულმა დირექტორმა ლაშა ტაბიძემ ღონისძიებაზე მოწვეულ ჟურნალისტებს ახალი ოფისის გახსნისა და მისი დანიშნულების შესახებ განუმარტა. მისი ინფორმაციით, „ბილაინის“ გლდანის ოფისში კიდევ 5 ადამიანი დასაქმდა, ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას უკვე ადგილზე სრულად მიუწვდება ხელი ყველაზე დინამიკურად განვითარებადი მობილური ოპერატორის მომსახურებაზე.





„ახალი ოფისის გახსნისას სპეციალურად გაკეთდა არჩევანი გლდანზე, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს. აქციის ფარგლებში მომხმარებელს სხვადასხვა მომსახურებას ვთავაზობთ, გვექნება სრული სერვისი, რაც კომპანიას გააჩნია. ხელმისაწვდომი იქნება როგორც იაფფასიანი პროდუქტი, ასევე სმარტფონები და ანდროიდები, რომლებიც „ბილაინის“ ქსელშია გაყიდვაში“, – განაცხადა ლაშა ტაბიძემ.

მისი ინფორმაციით, გლდანის ახალი ოფისი არის „ბილაინის“ რიგით მე-14 საკუთარი ოფისი და მე-19, რომელშიც მომსახურების სრული სერვისია წარმოდგენილი.

„ბილაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, თეონა ბალდავაძის განცხადებით, სოციალური პასუხისმგებლობის აქცია „ნათელი ფერები ბავშვებს“ მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება და აქტიურად მოიცავს როგორც დედაქალაქს, ასევე რეგიონებსაც. მისი ინფორმაციით, ბავშვების დასახმარებლად გადარიცხული ყოველი თეთრი, მათივე პრობლემების მოგვარებას, ერთფეროვნების დაძლევასა და პატარების ნათელი მომავლისთვის ზრუნვას მოხმარდება.

„პროექტი აქტიურად ხორციელდება როგორც თბილისში, ისე სხვადასხვა რეგიონში. მასში აბონენტების ჩართულობა ყოველთვის ძალიან მაღალი იყო. ჩვენი მიზანია, რომ „ბილაინის“ მიერ წამოწყებული საქმე, რაც ამ შემთხვევაში ბავშვთა სახლებზე ზრუნვას გულისხმობს, ბოლომდე მივიყვანოთ და ერთჯერადი აქტივობებით არ შემოვიფარგლოთ. ამ ეტაპზე აქციის ფარგლებში ვეხმარებით გლდანში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახსაც, რომელიც წყალდიდობის დროს დაზარალდა. ანალოგიურ პროექტებს სხვა მიმართულებითაც გავაგრძელებთ“, – განაცხადა თეონა ბალდავაძემ.

თბილისის მასშტაბით, ფუნქციონირებს ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სულ 4 სახლი, რომლებშიც 32 ბავშვი ცხოვრობს. პროექტს, სახელმწიფოს მხარდაჭერით, ახორციელებს საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“ და ორიენტირებულია მზრუნველობამოკლებული ბავშვების დახმარებასა და საზოგადოებასთან მათ ინტეგრაციაზე.

„ჩვენი მიზანია, სახლის აღსაზრდელებს ყოფითი და სხვა სახის პრობლემების მოგვარებაში დავეხმაროთ და დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმაშიც შევუწყოთ ხელი. ეს არ არის მარტივი საქმე, ძალიან დიდი პრობლემაა, რომელიც ქველმოქმედების გარეშე ვერ გაკეთდება. ბავშვთა სახლიდან გადმოსვლა ამ პატარებისთვის ადვილი არ ყოფილა, თავდაპირველად გაუჭირდათ. ისინი არ არიან მარტო, მათ გვერდით დგას პროფესიონალთა მთელი გუნდი, ვისთან ერთადაც ბავშვების დასახმარებლად მაქსიმუმი კეთდება. ჯერჯერობით ასეთ დაწესებულებებში ცოტა ბავშვი ცხოვრობს, მაგრამ მომავალში მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება და, ეს, პირველ რიგში, სახელმწიფოს ინტერესებშია“, – აღნიშნა მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის პროგრამის მენეჯერმა, დავით ყარყარაშვილმა.

ამავე სახლის აღმზრდელ-პედაგოგის, სულხან სახვაძის განმარტებით, ეს არის ახალი მოდელი, როგორ ცხოვრობენ მზრუნველობამოკლებული ბავშვები. მისი თქმით, ძალიან კარგი გარემოა და ყველაფერი კეთდება, რომ ბავშვები საზოგადოებას სრულფასოვან წევრებად დაუბრუნდნენ. „თითოეულს ინდივიდუალურად ვუდგებით, როგორც დიდს, რომელსაც ინტერესების საკუთარი სამყარო აქვს. ბავშვის თვალით რომ შევხედოთ, მათთან მუშაობა და ურთიერთობა არაჩვეულებრივია“, – აღნიშნა სახვაძემ.

გლდანის მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელები „ბილაინის“ საქველმოქმედო აქციის ყველაზე საპატიო სტუმრებად იყვნენ მოწვეულები. პატარებმა „ბილაინის“ ნუგბარით პირი ჩაიტკბარუნეს და არც ჟურნალისტებთან საუბარს მოერიდნენ.

„სალომე, 9 წლის: „ადრე ბავშვთა სახლში ვცხოვრობდით. იქ ბევრი ვიყავით. სულ რამდენიმე თვეა, რაც გლდანში ვარ. აქ უკეთესია, მეტი სათამაშო გვაქვს, კომპიუტერიც მოგვიტანეს, ყველა თბილად გვექცევა და გვესიყვარულება. ახლა სტუმრად ვართ, ყველა დაგვასაჩუქრეს და ძალიან გვიხარია“.

„ლუკა, 5 წლის: ბევრი ფერადი სათამაშო გვაქვს, ხშირად ვთამაშობთ კომპიუტერზეც. აქ ყველაზე მეტად ტორტი მომეწონა, ძალიან გემრიელია. ახალ სახლში ცოტა ვართ და კარგად ვერთობით. აქ მასწავლებელმა მოგვიყვანა, ახლა საჩუქრებს ველოდებით“.

„ბილაინის“ ყველაზე პატარა სტუმრებმა „კეთილი კომპანიის“ შესახებ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ იციან. თუმცა, საჩუქრებს დიდი სიხარულით ელიან და ბავშვური გულუბრყვილობით მადლიერებასაც გამოხატავენ. იციან, რომ აქ, მათთვის უცნობ სამყაროში ბევრი ნათელი ფერია, რომელსაც პატარებისთვის სიხარული და ბედნიერება მოაქვს!

**ანა ვაჩნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოსამართლის ფიცის დადების ცერემონია უზენაეს სასამართლოში



2012 წლის 21 მაისს უზენაეს სასამართლოში ხუთმა ახალმა მოსამართლემ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების წინაშე მოსამართლის ფიცი დადეს.

ხათუნა არსაზიშვილმა, გიორგი ბუხრაშვილმა, ნათია მერაბიშვილმა, ხათუნა ხარჩილავამ და ვლადიმერ ხუჭუამ იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული კურსი წარმატებით გაიარეს და ფიცის დადების შემდეგ ისინი საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სასამართლოებში მოსამართლის უფლებამოსილების შესრულებას შეუდგნენ.

## გასამართლებული ნარკოგადმომზიდავი

*თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის განხილვა. ბრალდებულ თეიმურაზ ტოტოშვილს ბრალად ედებოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და საქართველოში უკანონო შემოტანა.*

საქმის მასალებით, თეიმურაზ ტოტოშვილმა 2012 წლის იანვრის თვეში გერმანიაში შეიძინა და 28 იანვარს "სარფის" სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთით საქართველოში უკანონოდ შემოიტანა ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი 46 ცალი აბი, რასაც უკანონოდ ინახავდა.

2012 წლის 29 იანვარს თეიმურაზ ტოტოშვილი თბილისში დააკავეს, მას ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა და მისი ქურთუკის ჯიბიდან ამოიღეს 46 ცალი აბი, რაც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოადგენს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველ აბებს.

სასამართლოში საქმის განხილვისას ბრალდებულმა სრულად აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული. გარდა აღიარებითი ჩვენებისა, მის მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურდა მოწმეთა ჩვენებებით, პირადი ჩხრეკის ოქმით, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებით, ნარკოლოგიური გამოკვლევისა და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით.

სასამართლომ ბრალის აღიარების საფუძველზე, დაამტკიცა მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმად, თეიმურაზ ტოტოშვილი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და მას დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

"ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის" საფუძველზე, თეიმურაზ ტოტოშვილს, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობ პირს, 5 წლის ვადით ჩამოერთვა აღნიშნული კანონით გათვალისწინებული უფლებები, მათ შორის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლება.

# უდანაშაულოდ ცნობილი ბრალდებულები

*ბათუმის საქალაქო სასამართლომ ირაკლი და ალექსანდრე ნატარიძეები უდანაშაულოდ ცნო და გაამართლა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.*



ირაკლი და ალექსანდრე ნატარიძეებს ბრალი ედებოდათ, ელენა ფურსოვას კუთვნილი საცხოვრებელი სახლიდან რკინის ფირფიტებისა და საკვამური მილის ქურდობაში, რომლებიც ჩააბარეს ჯართის მიმღებ პუნქტში.

როგორც გამოძიების, ასევე საქმის სასამართლო განხილვის დროს, ბრალდებულებმა ირაკლი და ალექსანდრე ნატარიძეებმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნეს და განმარტეს, რომ მათი საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი, რომელიც დატვირთული იყო იპოთეკით, დავალიანების გადაუხდელობის გამო გატანილ იქნა აუქციონზე და შეიძინა ელენა ფურსოვამ. 2011 წლის 14 ნოემბერს სახლიდან მათი რვასულიანი ოჯახი გამოასახლეს. გამოსახლებამდე ოჯახის კუთვნილი სხვადასხვა ნივთები, მათ შორის საკვამური მილი და ლითონის ფირფიტები, რომლებიც წინასწარ ჰქონდათ შეგროვებული ჯართის მიმღებ პუნქტში ჩასაბარებლად, ნატარიძეებმა შეინახეს სათავსოში, რის შესახებაც აცნობეს ფურსოვას და მის ნათესავს სოფიო მისაბიშვილს. ამასთან, მისაბიშვილისგან მიიღეს მომდევნო დღეებში თავისი ნივთების და მათ შორის ლითონის ფირფიტების და მილის წასაღებად თავის ყოფილ სახლში და ნაკვეთში მისვლის ნებართვა. რამოდენიმე დღეში სოფიო მისაბიშვილის მიერ გაგზავნილი გასაღების გამოყენებით, სათავსოდან გამოიტანეს ლითონის ფირფიტები და მილი და ჩააბარეს ჯართის მიმღებ პუნქტში. შესაბამისად, მიიჩნევენ, რომ მათი მხრიდან ქურდობას ადგილი არ ჰქონია.

ბრალდებულების ჩვენება სრულად დადასტურდა დაზარალებულის და მოწის ჩვენებებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით. შესაბამისად, სასამართლომ გაიზიარა ბრალდებულების ჩვენებები მათი უდანაშაულობის შესახებ, ვინაიდან, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ აღმოჩნდა წარდგენილი ბრალდებით მათი დამნაშავედ ცნობისათვის. შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლომ ირაკლი და ალექსანდრე ნატარიძეები უდანაშაულოდ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და მათ მიმართ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ მანამდე ჯამბულ დუმბაძე ცნო უდანაშაულოდ და გაამართლა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" პუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

ჯამბულ დუმბაძეს, რომელიც ტაქსის მძღოლი იყო, ბრალი ედებოდა მგზავრის, უზბეკეთის მოქალაქე ჰილოლა ხუდაიბერდიევას კუთვნილი თანხის - 50 აშშ დოლარისა და 160 ლარის მითვისებაში.

როგორც გამოძიების, ასევე საქმის სასამართლო განხილვის დროს, ჯამბულ დუმბაძემ წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო და განმარტა, რომ ჰილოლა ხუდაიბერდიევასთვის თანხა მას არ მოუპარავს.

საქმის არსებითი სასამართლო განხილვისას დაიკითხა დაზარალებული ჰილოლა ხუდაიბერდიევა. მისი ჩვენების, ასევე ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი საკმარისი არ იყო წარდგენილი ბრალდებით ჯამბულ დუმბაძის დამნაშავედ ცნობისათვის და, შესაბამისად, მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა მცხეთის რაიონულმა სასამართლომაც. თეიმურაზ დორეული, რომელიც ბრალდებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკვალიფიცირებულ დანაშაულში - სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, უდანაშაულოდ ცნო.

ბრალის დადასტურების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული მუხლი სასჯელის სახით ითვალისწინებდა ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ასიდან ას ოთხმოც საათამდე, ან გამასწორებელ სამუშაოს ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთიდან სამ წლამდე.

საქმის მასალების მიხედვით, თეიმურაზ დორეულის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში, თეიმურაზ დორეული იმყოფებოდა მცხეთის რაიონის სოფელ ლისში. დაახლოებით 12 საათზე, თეიმურაზ დორეული მივიდა მასთან კონფლიქტურ ურთიერთობაში მყოფ გულნარა გოგილაშვილის სახლთან, შევიდა სახლის ეზოში და ჯოხით დააზიანა სახლის პირველი სართულის ფანჯრის მინები.

საქმის არსებითი განხილვისას დაიკითხნენ ბრალდებისა და დაცვის მოწმეები, გამოკვლეული იქნა სხვა მტკიცებულებები და თეიმურაზ დორეული მცხეთის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის - ვასილ მშვენიერაძის მიერ გამოტანილი განაჩენით გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში.

# უკრაინელი მოსამართლეები უზენაეს სასამართლოში



საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის უზენაესი სასამართლოს დელეგაცია ეწვია. უკრაინის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ანატოლი იერემას ხელმძღვანელობით უკრაინელი მოსამართლეები გაეცნობიან ქართულ სასამართლო სისტემაში განხორციელებულ რეფორმას. ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა ხელი მოაწერეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს.

ქართულ სასამართლო სისტემაში განხორციელებული ცვლილებების უკეთ გაცნობის მიზნით უკრაინელი მოსამართლეები ეწვევიან იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ასევე თბილისისა და მცხეთის საქალაქო სასამართლოებს.

# ბრალდებულის სასარგებლოდ გამოტანილი განაჩენი

*გორის რაიონულმა სასამართლომ განიხილა დიმიტრი რევაზაშვილის საქმე და მას გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა.*

საქმის მასალების მიხედვით, დიმიტრი რევაზაშვილს ბრალდება წარედგინა საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ორი ეპიზოდის ჩადენისათვის. ბრალდების მიხედვით, დიმიტრი რევაზაშვილი დაიბადა 1993 წლის 24 დეკემბერს, რის თაობაზეც, გორის რაიონის სოფელ ატენის ს/საბჭოში გაკეთდა №1 სააქტო ჩანაწერი და 1994 წლის 3 იანვარს გაიცა დაბადების მოწმობა დიმიტრი რევაზაშვილის სახელზე. იმავე წელს, მისმა ბაბუამ, ამჟამად გარდაცვლილმა გოდერძი რევაზაშვილმა დაბადების მოწმობა გააყალბა - სახელი დიმიტრი გადააკეთა დემეტრედ.

საქმის მასალების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრი რევაზაშვილმა იცოდა დაბადების მოწმობის გაყალბების შესახებ, 2009 წლის 23 დეკემბერს მიმართა "სრს გორის სამსახურს" პირადობის მოწმობის ასაღებად და წარადგინა აღნიშნული ყალბი დაბადების მოწმობა, რის საფუძველზეც, 2010 წლის 05 იანვარს დემეტრე რევაზაშვილის სახელზე გაიცა პირადობის მოწმობა №დ1326003, პ/ნ 59401128734. ელექტრონული პირადობის მოწმობის აღების მიზნით მან 2012 წლის 10 იანვარს "სრს გორის სამსახურში" წარადგინა ყალბი პირადობის მოწმობა, რის საფუძველზეც, გაიცა ელექტრონული პირადობის მოწმობა N11IB40038, პ/ნ 59401128734.

გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით დიმიტრი რევაზაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 2 000 ლარის ოდენობით, რომლის გადახდის ვადად განესაზღვრა 30 დღე.

სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის დაწყების დღესვე გორის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული დიმიტრი რევაზაშვილი უდანაშაულოდ ცნო და მისთვის წაყენებულ ბრალდებაში გაამართლა .

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის სასამართლომ გახმაურებული საქმის განხილვა დაასრულა

*თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა კიდევ ერთი გახმაურებული საქმის განხილვა, ე.წ. ფულის გათეთრების - უკანონო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრების ლეგალიზაციისა და თაღლითობის ფაქტზე, ბრალდებულების მალხაზ და თენგიზ ნაგერვაძეების, არჩილ ლობჟანიძისა და ლევან დუმბაძის მიმართ.*



საქმის მასალების მიხედვით, 2007 წლისთვის "ელიტ-ელექტრონიქსს" გაუსტუმრებელი საბანკო ვალდებულებებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ 7 217 284,27 ლარის დავალიანება დაუგროვდა. ამ დროისთვის ანზორ ქოქოლაძის გამგებლობაში იყო ზემოაღნიშნული საზოგადოების აქციათა საკონტროლო პაკეტი და მმართველობა. მისთვის ცნობილი იყო, რომ ს/ს "ელიტ ელექტრონიქსის" მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას კრედიტორების სასარგებლოდ ამავე საზოგადოებაში კუთვნილი წილებიდან განსაზღვრული წილის დათმობა მოუწევდა. აღსანიშნავია, რომ წილის დათმობის შედეგად სააქციო საზოგადოების კაპიტალი მთლიანად ან ნაწილობრივ გადავიდოდა საბანკო დაწესებულების გამგებლობაში, ხოლო ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით საზოგადოების კუთვნილი ქონებისა და მატერიალური აქტივების მიმართ გატარდებოდა კანონით დადგენილი იძულებითი ღონისძიებები.

საქმის მასალებით, 2007 წელსვე, ანზორ ქოქოლაძე დაუკავშირდა თავის ნათესავ თენგიზ ნაგერვაძეს, რომელიც იმ დროისთვის შპს "ბათუმვაჭრობის" დირექტორი იყო, და მოელაპარაკა ს/ს "ელიტ ელექტრონიქსის" მიერ, შპს "ბათუმვაჭრობის" მიზნობრივი დაფინანსებისთვის გახსნილი საკრედიტო ხაზი პირადი მიზნებისათვის გამოეყენებინათ და ინვესტირების საბაბით შპს "ბათუმვაჭრობაში" გადატანილი კაპიტალი ერთპიროვნულ მფლობელობაში მოექციათ.

გამოძიების მტკიცებით, შპს "ბათუმვაჭრობის" დირექტორმა თენგიზ ნაგერვაძემ 2007 წლის 1 თებერვლიდან 2008 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით მიზნობრივი დანიშნულების საკრედიტო ხაზი გახსნა და სესხის ფიქტიური ხელშეკრულებები გააფორმა. აღნიშნული სესხების საფუძველზე ანზორ ქოქოლაძემ საერთო ჯამში სესხის სახით 4 605 000 ლარი აიღო. აღნიშნული თანხიდან მიზნობრივად მხოლოდ 1 193 658 ლარ გაიხარჯა, ხოლო 3 411 342 ლარი ანზორ ქოქოლაძემ მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა. მან საკუთარი მოხმარებისთვის კაპიტალი საბანკო და სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არსებული ვალდებულებებისგან გაათავისუფლა, რითაც სააქციო საზოგადოებასა და სახელმწიფოს კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა მოუსპო.

"ამასთან ანზორ ქოქოლაძე, შპს "ბათუმვაჭრობის" მიზნობრივი დაფინანსებისთვის გახსნილი საკრედიტო ხაზის გამოყენებით, საერთო ჯამში მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებული - 10 848 547 ლარისთვის კანონიერი წარმოშობის მისაცემად, თენგიზ ნაგერვაძეს და ლევან დუმბაძეს დაუკავშირდა. საერთო გეგმის მიხედვით თენგიზ ნაგერვაძესა და ლევან დუმბაძეს ფიზიკური პირების სახელით სესხის ფიქტიური ხელშეკრულებები უნდა დაემზადებინათ. ხელშეკრულებების საშუალებით ისინი თანხის ნაწილს შპს "ტექნო ბუმის" აქტივებში შეიტანდნენ, ხოლო დარჩენილი ნაწილით ქონების წარმოშობის წყაროს დაფარავდნენ და მის რეალურ მფლობელს შენიღბავდნენ.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ჯგუფის წევრებმა 2010 წლის 25 მარტს, შპს "ტექნო ბუმსა" და თენგიზ ნაგერვაძეს შორის სესხის ხელშეკრულება გააფორმა. სესხის საერთო ოდენობამ 93 500 აშშ. დოლარი შეადგინა. ანალოგიური სქემით, 2010 წლის 10 აგვისტოს "ტექნო ბუმსა" და ლევან დუმბაძეს შორის 200 000 ლარის გაცემაზე, კვლავ სესხის ხელშეკრულება გააფორმდა. რეალურად სესხის სახით გაცემული თანხების ფაქტობრივი მფლობელი ანზორ ქოქოლაძე იყო, რითაც 293 250 აშშ დოლარის წარმოშობის წყარო და მისი რეალური მფლობელი შეინიღბა," - წერია საქმის მასალებში, რომლის მიხედვითაც, შპს "ტექნოსერვისს" სს "ელიტ-ელექტრონიქსის" მიმართ გააჩნდა შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებები, რომლის გაუსტუმრებლობის შემთხვევაში, მოთხოვნის დაკმაყოფილება "ელიტ-ელექტრონიქსს" შეეძლო "ტექნოსერვისის" რეალიზების საფუძველზე. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, ძმებმა ნაგერვაძეებმა დააფუძნეს შპს "რეალითი-ჯორჯია" და მის ფიქტიურ ხელმძღვანელს არჩილ ლობჟანიძეს გაამარჯვებინეს აუქციანზე, რითაც "ელიტ-ელექტრონიქსს" ხელოვნურად მოესპო შესაძლებლობა დაეკმაყოფილებინა თავისი კანონიერი ინტერესები.

ღია სასამართლო სხდომაზე არჩილ ლობჟანიძემ თავი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და განმარტა, რომ აუქციონისათვის საჭირო დოკუმენტაცია ძმებმა, თენგიზ და მალხაზ ნაგერვაძეებმა მოამზადეს, ხოლო აუქციონისათვის საჭირო თანხა დავით ნაგერვაძისაგან მიიღო, რომელიც ნათესავურ კავშირში იმყოფება ძმებ ნაგერვაძეებთან. ბრალდებულ ანზორ ქოქოლაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ცალკე წარმოებად გამოეყო.

საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულებმა მალხაზ და თენგიზ ნაგერვაძეებმა და ლევან დუმბაძემ არ აღიარეს ჩადენილი დანაშაული. მათ მიმართ წარდგენილი ბრალდება დადატურებულ იქნა: მოწმეთა და დაზარალებულთა ჩვენებებით, რევიზიის აქტებით, ჩხრეკის ოქმებითა და ამოღებული დოკუმენტაციით, აგრეთვე 2011 წლის 25 ნოემბრის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსადმი გაგზავნილი მიმართვით და საჯარო რეესტრის პასუხით - თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ თაღლითობასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში ბრალდებულები დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და ლევან დუმბაძეს 9 წლით პატიმრობა შეუფარდა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 10 ათასი ლარის ოდენობით. მალხაზ ნაგერვაძეს 6 წლისა და 6 თვის ვადით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 10 ათასი ლარის ოდენობით. ბრალდებულ თენგიზ ნაგერვაძეს საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ნაწილობრივი შეკრების პრინციპის გამოყენებით 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, მასვე დაეკისრა ჯარიმა 30 ათასი ლარის ოდენობით. ბრალდებულ არჩილ ლობჟანიძესთან ბრალის აღიარების საფუძველზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმად, ბრალდებულს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, რაც ჩაეთვალა პირობით 5 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე დაეკისრა ჯარიმა 2 ათასი ლარის ოდენობით.

## გორის სასამართლოს გამამართლებელი განაჩენები

*გორის სასამართლომ თანდილ გელაშვილი, რომელიც ბრალდებული იყო საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით - წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის არაერთგზის შეძენა-გასაღებაში, უდანაშაულოდ ცნო. გელაშვილისთვის წაყენებული ბრალდება სანქციად ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ორიდან ხუთ წლამდე.*

გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით, ბრალდებულ თანდილ გელაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახედ შეეფარდა გირაო. წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნუსხა დაშვებულ იქნა საქმის არსებით განხილვაზე, როგორც მტკიცებულებები, რომლებიც მხარეებმა სადავოდ გახადეს.

საქმის არსებითი განხილვისას გამოკვლეული იქნა სადავო მტკიცებულებები, კერძოდ, დაიკითხნენ მოწმეები. ვინაიდან, სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ვერც ერთმა მოწმემ ვერ დაადასტურა ბრალდებულის განზრახვა იმის შესახებ, რომ წინასწარი შეცნობით ახდენდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის გასაღებას, ჩათვალა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი და უტყუარი თანდილ გელაშვილის ბრალის დასადასტურებლად. ამასთან, სასამართლომ გაითვალისწინა უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომ ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ და თანდილ გელაშვილი გაამართლა წარდგენილ ბრალდებაში.

გორის რაიონულმა სასამართლომ ორუჯალ ჯაფარ ოღლის ძე ორუჯოვს, რომელიც ბრალდებული იყო საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირებულ დანაშაულში - ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ, გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა. მისთვის წაყენებული ბრალდება სასჯელს ითვალისწინებდა ჯარიმას ან გამასწორებელი სამუშაოს ვადით თხუთმეტიდან ოცდაოთხ თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით, ბრალდებულ ორუჯალ ორუჯოვს აღკვეთის ღონისძიების სახედ შეეფარდა გირაო. წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის წარმოდგენილი მტკიცებულებათა ნუსხა დაშვებულ იქნა საქმის არსებით განხილვაზე, როგორც მტკიცებულებები, რომლებიც მხარეებმა სადავოდ გახადეს ნაწილობრივ.

საქმის არსებითი განხილვისას გამოკვლეული იქნა სადავო მტკიცებულებები, კერძოდ, დაიკითხნენ მოწმეები. ვინაიდან, სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ვერც ერთმა მოწმემ ვერ დაადასტურა ბრალდებულის მიერ არასრულწლოვანი დაზარალებულის ცემის ფაქტი, სასამართლომ ჩათვალა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი და უტყუარი ორუჯალ ორუჯოვის ბრალის დასადასტურებლად გონივრულ ეჭვს მიღმა. ამასთან გათვალისწინებული იქნა უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომ ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. გორის რაიონულმა სასამართლომ ორუჯალ ორუჯოვი გაამართლა წარდგენილ ბრალდებაში.

# დაუსწრებლად გასამართლებული თაღლითი

*თბილისის საქალაქო სასამართლომ ძებნაში მყოფი ნიაზ გუსეინოვი, რომელიც ბრალდებული იყო თაღლითობასა და ყალბი დოკუმენტის დამზადება და გამოყენებაში დაუსწრებლად გაასამართლა..*



საქმის მასალების მიხედვით, 2003 წლის თებერვლის თვეში გაზეთ "ახალი აზროვნების" მთავარ რედაქტორ ნიაზ გუსეინოვს აშშ-ს ვიზის მიღებაში დახმარების თხოვნით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელმა ც.ქ-მ. ნიაზ გუსეინოვი ც.ქ-ს გაზეთის კორესპონდენტად ძველი რიცხვით გაფორმებას და აშშ-ში სამივლინებო ვიზის მიღებას დაპირდა, რის სანაცვლოდ, 12 000 დოლარის გაზეთის ანგარიშზე ჩარიცხვა მოსთხოვა. ბრალდებულმა დაარწმუნა ც.ქ. რომ გაზეთში რამდენიმე სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, სარეკომენდაციო წერილით მიმართავდნენ აშშ-ს კონსულს საქართველოში ვიზის გასაცემად, ხოლო მეტი დამაჯერებლობისთვის გაზეთის კორესპონდენტად მუშაობის დამადასტურებელი მოწმობა გადასცა. ნიაზ გუსეინოვმა დაზარალებულს ჯერ 3 000 დოლარი გამოართვა, ხოლო შემდეგ პასპორტში ყალბი ვიზა ჩააკრა და დაარწმუნა ის თითქოს მასზე უკვე გაცემული იყო აშშ-ის ვიზა, რის შემდეგაც, ც. ქ-ს 7500 დოლარი გამოართვა..

დაპირებისამებრ, ც.ქ. აშშ-ში ბაქოს აეროპორტიდან აზერბაიჯანელ ჟურნალისტებთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო. საქმის მასალებით, ც. ქ მხოლოდ მას შემდეგ მიხვდა რომ მოატყუეს, რაც ბაქოში რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჯარ გუსეინოვმა მიატოვა და მიიმალა.

ბრალდების მიხედვით, ნიაზ გუსეინოვმა ეტაპობრივად, ც.ქ-ს გამოართვა საერთო ჯამში, 12 000 დოლარი, რომელიც მიუხედავად დაზარალებულის არაერთი მოთხოვნისა უკან არ დაუბრუნებია.

საქმის მასალების მიხედვით, 2003 წლის მარტში ნიაზ გუსეინოვმა ამჯერად, ვითომდა კანადაში გამგზავრების სანაცვლოდ, ცოლ-ქმარ მაია ღ-ს და დავით მ-ს ჯერ 3 000 დოლარი, ხოლო შემდეგ 2500 დოლარი გამოართვა. საერთო ჯამში, ნიაზ გუსეინოვმა და მისმა პარტნიორი ამჟამად, გარდაცვლილმა, ნათელა მ-მ მაია ღ-ს და დავით მ-ს 5500 დოლარი გამოსძალეს.

2003 წლის მარტის თვეშივე ნიაზ გუსეინოვმა და ნათელა გ-მ, გაზეთ "სიტყვა და საქმეში" გამოაქვეყნეს განცხადება ტურისტული მომსახურების შესახებ, თუმცა ე.წ პარტნიორებს იურიდიულად არ შეუქმნიათ რაიმე სამეწარმეო სუბიექტი. განცხადების საფუძველზე საბერძნეთის ვიზის მისაღებად მათ ხათუნა ქ. და დავით. პ. დაუკავშირდნენ. აღნიშნული პირებისაგან თანამზრახველებმა 1500 დოლარი მიისაკუთრეს.

ანალოგიური სქემით, სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვევების და სხვადასხვა პირებზე ტურისტული ვიზების გასაცემად, თაღლითურმა ჯგუფმა 2003 წლის გაზაფხულზე თინა მ-ს 1950 დოლარი, ხოლო ამავე წლის დეკემბრის თვეში ნინო ჭ-ს 3 000 დოლარი გამოსძალეს.

სასამართლოს სხდომაზე საქმის არსებითად განხილვისას ნიაზ გუსეინოვის ბრალეულობა დადასტურდა დაზარალებულთა და მოწმეთა ჩვენებებით, დაპირისპირების ოქმებით, საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან მიღებული ცნობით, ამოღებული ნივთმტკიცებებით, სასამართლო-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ამჟამად ძებნაში მყოფი ნიაზ გუსეინოვი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და მას სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების პრინციპით 13 წლის და 9 თვის ვადით პატიმრობა მიუსაჯა.

საქმე № 2-520/2012წ.

## განჩინება

საქართველოს სახელით

17 აპრილი, 2012 წელი ქ. ბათუმი

**ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

**მოსამართლე – ლია ავალიშვილი**

**განმცხადებელი:** საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შავი ზღვის სამსახური;

**განმცხადებლის მოთხოვნა:** ქონების უპატრონოდ ცნობა;

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შავი ზღვის სამსახურის განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა**

2012 წლის 10 აპრილს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შავი ზღვის სამსახურმა განცხადებით მომართა სასამართლოს და მოითხოვა ქონების უპატრონოდ ცნობა.

**განმცხადებელი თავის მოთხოვნას ამყარებს შემდეგ გარემოებებზე:**

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექცია შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციამ 2010 წელს შსს სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად შეკვეთილი-ანაკლიის მიმდებარე ზღვის აკვატორიაში ჩატარებული რეიდების შედეგად ამოიღო ზღვაში უკანონოდ ჩადგმული თევზსაჭერი იარაღები:

**16 მაისს ანაკლიის მიმდებარე ზღვის აკვატორიაში ამოღებულ იქნა:**

1. ჩასადგმელი ბადე, სიგრძე 200 მ. თვლის ზომა 100X100 მმ.

**27 მაისს შეკვეთილის მიმდებარე ზღვის აკვატორიაში ამოღებულ იქნა:**

1. საკამბალე ბადე, სიგრძე 400 მ. თვლის ზომა 140X140 მმ.
2. საკამბალე ბადე, სიგრძე 500 მ. თვლის ზომა 160X160 მმ.

4 ივნისს ფოთში, მაიაკის მიმდებარე ზღვის აკვატორიაში ამოღებულ იქნა:

1. სახლართი ტიპის ბადე, სიგრძე 170 მ. თვლის ზომა 25X25 მ.

**8 ივნისს მაიაკი - ანაკლიის მიმდებარე ზღვის აკვატორიაში ამოღებულ იქნა;**

1. ჩასადგმელი ბადე, სიგრძე 50 მ. თვლის ზომა 50X50 მმ.
2. ჩასადგმელი ბადე, სიგრძე 200 მ. თვლის ზომა 30X30 მმ.

**9 ივნისს ანაკლია-ნაბადის მიმდებარე ზღვის აკვატორიაში ამოღებულ იქნა:**

1. ჩასადგმელი ბადე, სიგრძე 100 მ. თვლის ზომა 40X40 მმ.
2. ჩასადგმელი ბადე. სიგრძე 200 მ. თვლის ზომა 36X36 მმ.

განმცხადებელმა განმარტა, რომ ბადეების ამოღების ფაქტები დაფიქსირებულია გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების შემოწმების შესახებ აქტებით. ამოღების დროს ბადეებში ჭერილი არ დაფიქსირებულა.

საქართველოს კანონის ,,მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესისი შესახებ'' საქართველოს კანონით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამონაცვლედ ჩაითვალა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და მას მართველობის სფეროში გადაეცა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვის ინსპექცია. ხოლო საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს 2011 წლის 18 მარტის 01 ბრძანებით,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ'', საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვის ინსპექციის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბუნებრივი რესურსების სააგენტო და მისი ტერიტორიული ორგანოები. მავე ბრძანებით შავი ზღვის სამსახური ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოა.

განმცხადებლის მტკიცებით, უკანონო ბადეები განთავსდა შავი ზღვის სამსახურის ოფისში. ამოღებულ უკანონო ბადეებს არ გააჩნდათ მესაკუთრეთა ვინაობის დამადასტურებელი რაიმე სარეგისტრაციო ან სხვა კერძო ნიშანი. ვერ დადგინდა თევზმჭერთა ვინაობა. ქონების უპატრონოდ ცნობამდე შეუძლებელია აღნიშნული ბადეების რეალიზაცია, რაც ხელს უშლის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 338-ე მუხლის თანახმად, განმცხადებელმა წარმოადგინა ქონების ჩამონათვალი, რომელიც ცნობილი უნდა იქნეს უპატრონოდ მათი განმასხვავებელი ნიშნებისა და მტკიცებულებების მითითებით, რომლითაც დგინდება მესაკუთრეთა მხრიდან ამ ქონების მიტოვების ფაქტი, ასევე მტკიცებულებების მითითებით იმის თაობაზე, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი- ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შავი ზღვის სამსახური არ დაუფლებია ისეთ ქონებას რომლის დაუფლების უფლებაც მას არ გააჩნდა და რომლის დაუფლებაც კანონით არ იკრძალება.

განმცხადებელმა მოითხოვა, განცხადებაში მითითებულ ნუსხათა შესაბამისად, მითითებული თევსაჭერი იარაღები ცნობილ იქნეს უპატრონოდ და მოხდეს მათი სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 339-ე მუხლის თანახმად, ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადების მიღების შემდეგ სასამართლო ადგილობრივ გაზეთში აქვეყნებს ცნობას, რომელიც უნდა შეიცავდეს: იმ სასამართლოს დასახელებას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ გამოცხადების შესახებ; განმცხადებლის ვინაობას; იმ ქონების აღწერას, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს; მოთხოვნას იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა.

კანონის დასახელებული ნორმის საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს პუბლიკაციის გამოქვეყნება გაზეთ ,,ახალ თაობაში'' ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს სხვა პირთა პრეტენზიის გამოვლენის მიზნით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 337-341-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გამოქვეყნდეს პუბლიკაცია გაზეთ ,,ახალ თაობაში'' საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შავი ზღვის სამსახურის მიერ განჩინებაში მითითებულ ნუსხათა შესაბამისად, 2010 წელს შსს სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად შეკვეთილი- ანაკლიის ზღვის აკვატორიაში ჩატარებული რეიდების შედეგად ამოღებული ზღვაში უკანონოდ ჩადგმული თევზსაჭერი იარაღების თაობაზე.

2. განემარტოთ დაინტერესებულ პირებს, რომ თუ მათ გააჩნიათ პრეტენზია ზემოაღნიშნული ნაპოვნი ,,საქონლის უპატრონოდ ცნობა''-ზე, რომლის უპატრონოდ გამოცხადებასაც მოითხოვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შავი ზღვის სამსახური, შეუძლიათ თავიანთი უფლებების შესახებ განაცხადონ ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.30) 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;

3. განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მოსამართლე: ლ. ავალიშვილი

# კონსტიტუციური ცვლილებები სიგიჟეა!

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ „ქართული ოცნების“ წევრ დავით კუპრეიშვილთან

*– როგორ ემზადებით 27 მაისის აქციისთვის და რა მოლოდინი გაქვთ?*

– მე გახლავართ „ქართული ოცნების“ ვაკის რაიონული ორგანიზაციის წევრი. ჩვენი ორგანიზაცია იკრიბება 27 მაისს, ვაკის პარკიდან დაიწყება მსვლელობა თავისუფლების მოედნის მიმართულებით, სხვა რაიონები ეროვნულ სტადიონთან და ავლაბრის მეტროსთან იკრიბებიან. ამ აქციიდან დიდი მოლოდინი მაქვს, გამოცხადებულია, რომ ეს არის მხოლოდ თბილისის ორგანიზაციის აქცია და დარწმუნებული ვარ, რომ როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, დაახლოებით ნახევარ მილიონ ადამიანს ელოდებიან იმ დღეს. თუ რაღაცა კატაკლიზმები არ იქნა, ამინდი თუ არ გაფუჭდა, ნახევარი მილიონიც და მეტი ადამიანიც შეიკრიბება. მთელმა თბილისმა და სრულიად საქართველომ უნდა უჩვენოს არა მარტო ამ ხელისუფლებას, არამედ მსოფლიოს, რომ ქართველი ერი მოელის ცვლილებებს შემოდგომაზე, რადიკალურ ცვლილებებს, რომ ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს მშვიდობიანი გზით, უნდა მოვიდეს ახალი ხელისუფლება, რომელიც საქართველოს ინტერესებს დააყენებს პირად ინტერესებზე მაღლა და საქართველო გამოვა კრიზისული მდგომარეობიდან, რომელშიც არის შევარდნაძის ხელისუფლებიდან მოყოლებული დღემდე. ამ ხელისუფლებას ერთმანეთისგან არ გამოვყოფ. ნაცმოძრაობის ლიდერები ცდილობენ, ყველა უბედურება შევარდნაძის ხელისუფლებას გადააბრალონ, მაგრამ სინამდვილეში ესენი იყვნენ მაშინაც ხელისუფლებაში უმთავრეს პოსტებზე და დღესაც ისინი ღუპავენ ქვეყანას. ხელისუფლება საქართველოში ძალადობრივი გზით იცვლებოდა, პრეზიდენტის ჩამოგდება ქართველების ნაციონალური სპორტის სახეობა გახდაო, რუსები დაგვცინიან. იმედი მაქვს, შემოდგომაზე ყოველივე ეს დამთავრდება მშვიდობიანად. ეს პროცესი იწყება 27 მაისს, ეს იქნება პირველი სერიოზული დარტყმა მოქმედი რეჟიმისთვის და ნოკაუტი კი იქნება შემოდგომაზე.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## განცხადება

**ამხანაგობა „მზიური 2003“-ის კრების მოწვევის შესახებ**

**ამხანაგობა „მზიური 2003“ განმეორებით იწვევს ამხანაგობის წევრთა კრებას, რომელიც გაიმართება ამხანაგობის ადგილსამყოფელზე 2012 წლის 5 ივნისს, 17 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რამიშვილის ქ.№25 (ყოფილი ილია ჭავჭავაძის I ჩიხი). შემდეგი დღის წესრიგით:**

**<u>დღის წესრიგი</u>**

**ამხანაგობა „მზიური 2003“-ის დამფუძნებელი წევრის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ბაგები XXI“-ის ამხანაგობიდან გარიცხვის შესახებ, ამხანაგობა „მზიური 2003“-ის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.**

**ამხანაგობის ყველა წევრი უნდა გამოცხადდეს 2012 წლის 5 ივნისს, 17 საათზე. ქ.თბილისი, რამიშვილის ქუჩა №25 (ყოფილი ილია ჭავჭავაძის I ჩიხი) ამხანაგობა „მზიური 2003“-ის თავმჯდომარე ნუნუ ზურაბიშვილი**

## განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● სამკურნალო სადიაგნოსტიკო რეაბილიტაციის ცენტრი „მედიგარდი“ გთავაზობთ კუჭისა და ნაწლავების ექოსკოპიას, რაც გასტროსკოპიისა და რენტგენოლოგიური კვლევის ალტერნატივაა. ამავე კლინიკაში გთავაზობთ მკურნალობას სამკურნალო მცენარეებით, ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, გასტრიტი, კოლიტი, შარდ-კენჭოვანი დაავადება და სხვა. მისამართი: ფალიაშვილის ქ.№17. ტელ: 225-20-50; მობ: 599-57-25-08.

● ნანა ქიბრონაშვილი, შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ფოტოსურათით მოგიხსნით: პათოლოგიურ სიმთვრალეს, ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებს და ქმედებებს, ეჭვიანობას, ძილში მოუსვენრობას, კოშმარულ სიზმრებს, თვითმკვლელობის სურვილს, დეპრესიას, დაძაბულობას, ოჯახურ კონფლიქტებს. მის: წერეთლის 57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი 7. მიღება 12-დან 15 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიშტიანუ რონალდუ: „რეალი" მალე მოიპოვებს ჩემპიონთა ლიგის საიუბილეო, მეათე თასს"

ახლა მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება ევროპის მოახლოებულ ჩემპიონატთან არის გადატანილი. უკრაინა-პოლონეთში გასამართი ტურნირის მონაწილეთა მიმართ ინტერესი იზრდება.

ცხადია, ამ მხრივ გამორჩეული ადგილი პორტუგალიის ნაკრების ლიდერს, კრიშტიანუ რონალდუს უკავია, რომელთან ინტერვიუ მადრიდის „რეალის" ვებგვერდმა გამოქვეყნდა.

*— გასულ სეზონში უამრავი გოლი გაიტანეთ და მადრიდის „რეალთან" ერთად ესპანეთის ჩემპიონობა მოიგეთ. ათბალიანი სისტემით საკუთარ გამოსვლას რამდენი ქულით შეაფასებდით?*

— საკუთარ თავს ათიანს დავუწერდი, გუნდის გამოსვლას კი ცხრიანით შევაფასებდი. „რეალს" ქულა იმიტომ დავაკელი, ჩემპიონთა ლიგის მოგება რომ ვერ შევძელით.

*— მაინც რა დააკლდა „რეალს" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასავლელად?*

— პენალტების სერიაში მარცხი უიღბლობას ბრალდება ხოლმე, მაგრამ თერთმეტმეტრიანები კაკამ, რამოსმა და მე გავაფუჭეთ. ამდენი გამოუყენებელი შანსი კი, ფორტუნის ბრალი ნამდვილად არ არის. პრობლემები პირველ რიგში საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. „ბაიერნთან" გამნეორებით ნახევარფინალში პირველი ტაიმი კარგად ჩავატარეთ, მეორეში კი ჩვენ დონეზე ვერ ვიდექით. შესაძლოა, ეს „ელ კლასიკოს" ბრალია — „ბარსელონასთან" დაპირისპირებამ დიდძალი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ენერგია გამოგვაცალა. თავს სულაც არ ვიმართლებ, მაგრამ ისიც ფაქტია, მიუნხენელებთან გადაღლილები ვჩანდით. ჩემპიონთა ლიგის ფინალში მარცხის მიუხედავად, „ბაიერნს" უდიდეს გუნდად ვთვლი და იუპ ჰაინკესის გუნდი ფინალში სავსებით დამსახურებულად გავიდა.

*— ლა ლიგის მოგების შემდეგ მადრიდელი გულშემატკივრები თქვენგან ჩემპიონთა ლიგის თასის დასაკუთრებას ითხოვენ.*

— დარწმუნებული ვარ, „რეალი" მალე მოიპოვებს ჩემპიონთა ლიგის საიუბილეო, მეათე თასს.

*— თქვენი უპირველესი საფეხბურთო ოცნებაც ესაა?*

— მთელი მადრიდი „რეალის" მიერ ჩემპიონთა ლიგის მეათედ მოგებას მოუთმენლად ელის და მათი იმედის გაწბილებას არ ვაპირებ. ჩემი მეორე ოცნება პორტუგალიის ნაკრებს უკავშირდება. ეროვნულ გუნდთან ერთად ტიტულის მოგება მსურს. ამასთან ძალიან ახლოს ვიყავით 2004 წელს, მაგრამ მაშინ სამშობლოში ჩატარებული ევროპის პირველობის ფინალში დავმარცხდით. ვფიქრობ, პორტუგალიის ნაკრები წლევანდელ ევროპირველობაზე კარგად გამოვა.

*— ამ განცხადების გაკეთების დროს ალბათ გათვალისწინებული ისიც გაქვთ, რომ პორტუგალია „სიკვდილის ჯგუფში" რომ მოხვდა. ეს არ გაშინებთ?*

— გეთანხმებით, რომ წილისყრამ ურთულესად დასაძლევი მოწინააღმდეგეები შეგვახვედრა, მაგრამ არც ჩვენ მეტოქეებს ექნებათ იოლი თამაშები. ყველას ერთნაირად გაგვიჭირდება. არაფერს დავიშურებთ მეოთხედფინალში გასასვლელად, მიუხედავად იმისა, ჯგუფში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი ჰოლანდია და წინა ევროპირველობის გადამწყვეტი მატჩის მონაწილე გერმანია რომ გვყავს.

*— კონტინენტის ჩემპიონატს ჰოლანდიასთამ მატჩით გახსნით.*

— პირადად მე ძალიანაც მომწონს, სასტარტო შეხვედრა ასეთ ძლიერ ნაკრებთან რომ გვექნება. იტალიელებისგან განსხვავებით, ბენილუქსელები აქცენტს დაცვაზე არ აკეთებენ, რაც ჩვენ დაპირისპირებას არა მარტო საინტერესოს, სანახაობრივსაც გახდის. ჩვენც და ჰოლანდიელებიც ბურთის კონტროლზე ვაკეთებთ აქცენტს. იმედი მაქვს, ღია თამაში წავა და მაყურებელიც ლამაზ საფეხბურთო სპექტაკლს იხილავს. ვიმეორებ, რთულ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ საბოლოო წარმატების განწყობით მივემგზავრებით ხარკოვში.

*— ბურთის კონტროლის გარდა, ჰოლანდიელების ძლიერება რით გამოიხატება?*

— მათ რობინ ვან პერსი და არიენ რობენი ჰყავთ. მათ განეიტრალებას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, თუმცა, არც სხვა ჰოლანდიელი ფეხბურთელების წინააღმდეგ პაექრობისას შეიძლება ყურადღების მოდუნება.

*— გერმანიაზე რას გვეტყოდით?*

— იოაჰიმ ლიოვის გუნდის დამარცხება ურთულესი საქმეა, მაგრამ შეუძლებელი სულაც არაა. გერმანელთა აწყობილ მექანიზმს მონდომება და ტექნიკური თამაში უნდა დავუპირისპიროთ.

*— ევროპის მომავალი ჩემპიონატის ფავორიტებად რომელ ნაკრებებს მიიჩნევთ?*

— ესპანეთს ტიტულის შენარჩუნების მშვენიერი პერსპექტივა აქვს. გერმანიას, ჰოლანდიასა და იტალიასაც ფავორიტთა შორის მოვიხსენიებდი. პორტუგალიაც ნებისმიერი მათგანისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. გულშემატკივრის გასახარებლად არაფერს დავიშურებთ, დანარჩენს უშუალოდ ევროპირველობის მატჩები გამოავლენს.

*— საუბრის ბოლოს ამ კითხვაზე გვიპასუხეთ — რომელი მწვრთნელია უკეთესი სერ ალექს ფერგიუსონი თუ ჟოზე მოურინიო?*

— სერ ალექსი ჩემთვის მეორე მამასავით იყო. მან ბევრი რამ მასწავლა და მისი ხელმძღვანელობით მანჩესტერის „ოლდ ტრაფორდზე" დაუვიწყარი წლები გავატარე. ამის მიუხედავად, პლანეტის საუკეთესო მწვრთნელად მაინც ჟოზე მოურინიოს მივიჩნევ. მასთან მუშაობა შემდგომი წინსვლის შანსს მაძლევს, რომელსაც აუცილებლად გამოვიყენებ.

# არმია მეორედ გაჩემპიონდა

**ოლიმპი – არმია 67:91**

(18:22, 15:28, 19:20, 15:21)

**ოლიმპი:** გამყრელიძე (15ქ), გულისაბედაშვილი (6ქ), ნანიტაშვილი, მილუტინოვიჩი (9ქ,7მ), ბერიშვილი (20ქ,5პ), სლიუკა (5ქ), ტუტუსი (8ქ), ცინცაძე, ტოდოროვიჩი, ჰოგერი (4ქ)

**არმია:** რიჩარდსონი (18ქ), ბაბიაშვილი (9ქ), ბოისა (8ქ), მინაშვილი, უგრეხელიძე (2ქ), კვიმსაძე (5ქ), ტომასი (15ქ), ათანელიშვილი, შელბომი (6ქ,9მ), დიაზი (8ქ), ვუდსაიდი (20ქ,8პ), საყვარელიძე

საქართველოს 2012 წლის ჩემპიონი თავდაცვის სამინისტროს გუნდი „არმია" გახდა, რომელმაც ფინალური სერიის მეოთხე მატჩში „ოლიმპი" 91:67 დაამარცხა, საერთო ჯამში 3:1 იმარჯვა და ტიტული ზედიზედ მეორედ მოიპოვა.

მატჩის საწყისი წუთებში საინტერესოდ წარიმართა და თამაში ქულა-ქულაში წავიდა, თუმცა მეოთხედის მიწურულს არმიელები 4-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და 22:18 დაწინაურდნენ. შეხვედრის ამ მონაკვეთში ოლიმპის გამთამაშებელმა გიორგი ცინცაძემ ფეხის ტრავმა მიიღო და თამაშს გამოეთიშა.



არმიელები მეორე მეოთხედში აქტიურად ათამაშდნენ და წინ 34:23 გავიდნენ, ხოლო ტაიმში 17 ქულიანი სხვაობით, 50:33 იმარჯვეს.

მოპოვებული უპირატესობა არმიელებმა მესამე მეოთხედში კიდევ უფრო გაზარდეს და დასკვნით მეოთხედს 22-ქულიანი უპირატესობით შეხვდნენ – 66:44.

ბოლო ათწუთეულში კი მატჩმა ინტრიგა საერთოდ დაკარგა, ოლიმპელებმა მეტოქესთან ვერაფერი გააწყეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ.

„არმიას" 20 ქულით ბენჟამენ ვუდსაიდმა ულიდერა, ხოლო „ოლიმპს" ამდენივე ქულა მიხეილ ბერიშვილმა შესძინა.

მატჩის დასრულების შემდეგ შედგა დაჯილოვების ცერემონიალი, სადაც არმიისა და ოლიმპის გუნდების მწვრთნელებსა და მოთამაშეებს მედლები კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა და სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა გადასცეს.

დაჯილდოვების შემდეგ კი ტრადიციულად პრესკონფერენცია გაიმართა.

**კოტე ტულუში, არმიის მწვრთნელი:**

— საქართველოს ჩემპიონი მწვრთნელის რანგში პირველად გავხდი და სრულიად განსხვავებული და ემოციური დღე გამოდგა ჩემთვის. პირველ რიგში მსურს დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს ბიჭებს. გარკვეული მიზეზების გამო უმძიმესი სეზონი გვქონდა, საკმაოდ რთული დღეები გადავიტანეთ და სწორედ მათი დამსახურებაა ეს წარმატება. მოხარული ვარ და ძალიან ვამაყობ რომ წელს ძლიერი გუნდის წევრი ვიყავი და ამ კლუბში მომიწია მუშაობა. ვფიქრობ, რომ საქართველოს ჩემპიონატი წელს ძალიან განსხვავებული და გამორჩეული თავისი ძლიერი მოთამაშეებით. დიდი მადლობა ოლიმპს და მის მწვრთნელს გია კაზანჯიანს ღირსეული პაექრობისთვის. დიდი მადლობა „ოლიმპის" კალათბურთელებს, რომლებიც ბოლომდე დაიხარჯნენ. გამოვარჩევდი ნაკრების წევრებს, გიორგი ცინცაძესა და გამყრელიძეს, რომლებმაც ძალიან დიდი როლი ითამაშეს საქართველო ჩემპიონატის სიძლიერეში და ამისთვის დიდი მადლობა. ასევე მადლობა ჟურნალისტებს და ყველა გულშემატკივარს. მე მათგან ბევრს ვსწავლობდი და მაქსიმალურად ვცდილობდი ყველაფერი ამეთვისებინა. მათ თუნდაც კრიტიკულ გამონათქვამებს ვიყენებდი იმისთვის, რომ უკეთესი გავმხდარიყავი.

**გია კაზანჯიანი, ოლიმპის მწვრთნელი:**

— ვულოცავ „არმიას" დამსახურებულ ჩემპიონობას, რომელიც აშკარად გამოირჩეოდა ყველა გუნდისგან თავისი სიძლიერით, რაც შეეხება ჩვენს გუნდს, „ოლიმპი" პირველი ტურის დაწყებამდე ორი კვირით ადრე დაკომპლექტდა და მეორე ადგილი დაიკავა. მოთამაშეებს კი სეზონის განმავლობაში ვიმატებდით. ცინცაძე კი ერთი თვით ადრე შემოგვიერთდა. ჩემთვის პირადად დიდი გამოცდილება იყო, რადგან მთლიანი სეზონი მწვრთნელის რანგში პირველად ჩავატარე. იმედია ეს გამოცდილება მომავალში გამომადგება. დიდი მადლობა ბიჭებს ბრწყინვალე სეზონისთვის და ვეცდებით მომავალში უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ.

**ზვიად ბაბიაშვილი:**

— კაპიტნის ამპულაში ჩემპიონობა ჩემთვის დებიუტი იყო. დავეთანხმები მწვრთნელს რომ მძიმე პერიოდი გადავიტანეთ და დიდი შრომა დაგვჭირდა ამ შედეგისითვის. მუშაობა დაგვიფასდა და მიზანს მივაღწიეთ. დიდი მადლობა ჩემი გუნდის ყველა წევრს და მწვრთნელებს. ჩვენ ყველანი ერთად ვიბრძოდით მაღალი მიზნებისთვის. რაც შეეხება „ოლიმპს", მან ძლიერად იასპარეზა და კარგად დაკომპექტებული გუნდია, რომელიც ჩვენთვის ღირსეული მეტოქე იყო. ამას, სერიის მეორე მატჩში მისი გამარჯვებაც მოწმობს. ვიცოდით მეტოქის სიძლიერე და მაქსიმალურად ვიბრძოლეთ, რათა გამარჯვება მოგვეპოვებინა.

**ანატოლი ბოისა:**

— მთელი სეზონი ჩვენი გუნდი ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდა და ვფიქრობ, წლევანდელი სეზონი ლოგიკურად დასრულდა. ბიჭები „ოლიმპისგან" განსხვავებით უფრო დიდი ხანია რაც ერთად ვართ და ვფიქრობ ამ ერთიანობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენს წარმატებაში.

**გიორგი გამყრელიძე:**

— პირველ რიგში ვულოცავ „არმიას" ჩემპიონობას, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო მთელი ჩემპიონატის განმავლობაში. იმედი მაქვს ეს გუნდი მომავალ წელს უფრო გაძლიერდება და ევროჩელენჯზე უკეთეს შედეგს აჩვენებს. რაც შეეხება „ოლიმპს", მსურს დიდი მადლობა გადავუხადო მთელ ორგანიზაციას, პირველ რიგში გუნდი შექმნისთვის. როგორც კაპიტანი, მსურს მადლობა გადავუხადო ბიჭებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისთვის რომ საუკეთესო გუნდები დაგვემარცხებინა და ფინალამდე მოვსულიყავით. ვფიქრობ არმიას ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიეთ და ფინალური სერია საინტერესო გამოდგა. დარწმუნებული ვარ მომავალ წელს უკეთესი ჩემპიონატი იქნება. გულშემატკივარი გახარებულია რომ ასეთი კარგი სეზონი ჩატარდა, სადაც ბრწყინვალე მწვრთნელები და მოთამაშეები ასპარეზობენ.

# მიუნხენმა რობენს დაუსტვინა

მიუნხენის „ბაიერნისა" და ჰოლანდიის ნაკრების ამხანაგური მატჩი (3:2 მიუნხენური კლუბის სასარგებლოდ) ისეთი ამბები მოხდა, შესაძლოა, ბავარიულ კლუბსა და ჰოლანდიის ნაკრებს შორის ახალ მტრობას ჩაეყაროს საფუძველი.

74-ე წუთამდე ყველაფერი კარგად იყო. ამ დროს კი ჰოლანდიელთა მწვრთნელმა, ბერტ ვან მარვიიკმა მოედანზე არიენ რობენი შეუშვა. გამოჩნდა თუ არა რობენი, „ალიანს არენაზე" აქაიქ სტვენა გაისმა. ფეხბურთელები თავიდან ყურებს არ უჯერებდნენ, მაგრამ მერე, როცა სტვენა გაძლიერდა და თანაც, მაინცდამაინც მაშინ ისმოდა, როდესაც რობენი ბურთს მიიღებდა, ყველანი საბოლოოდ დარწმუნდნენ იმაში, რომ მიუნხენის პუბლიკის საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ რობენს უსტვენდა.

მართალია, რობენს მთელი სტადიონი არ უსტვენდა და „ბაიერნის" ფანების გარკვეული ნაწილი მისი გვარის სკანდირებას მოჰყვა. საკუთარი ფანებისგან სტვენა ისედაც ძნელი ასატანია და მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ რობენმა მაისის დასაწყისში „ბაიერნთან" კონტრაქტი 2015 წლამდე გააგრძელა.

მატჩის შემდეგ რობენს ბასტიან შვაინშტაიგერმა და მანუელ ნოიერმა დაუყვავეს, მერე კი არიენს სამხრეთ ტრიბუნასთან მისვლა გადააწყვეტინეს – საბედნიეროდ, ტრიბუნიდან რობენის მისამართით სტვენას ადგილი არ ჰქონია. პირიქით, „ბაიერნის" ულტრასებმა არიენს მოკრძალებული, მაგრამ მაინც აპლოდისმენტები უძღვნეს. რობენმა გასახდელს მაიცნ უსიტყვოდ მიაშურა. სამაგიეროდ, სხვებმა ისაუბრეს.

— ეს უდიდესი სირცხვილია! მიუნხენელებს უნდა რცხვენოდეთ, არიენს რომ უსტვინეს. ასეთი რამ დაუშვებელია, – განაცხადა მატჩის შემდეგ ჰოლანდიელთა თავკაცმა ვან მარვიიკმა.

მარკ ვან ბომელმა, რომელიც „ბაიერნის" ღირსებას ოთხწლინახევრის მანძილზე იცავდა და მისი კაპიტანიც გახლდათ, უფრო სასტიკი განცხადება გააკეთა:

— ეს სკანდალია! ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ მიუნხენური პუბლიკა თავის ფეხბურთელს ასე მოექცეოდა. ნუთუ ასე მალე დაივიწყეს რობენის დამსახურებები „ბაიერნის" წინაშე?"

შეგახსენებთ, რომ რობენმა ბუნდესლიგაში, დორტმუნდის „ბორუსიასთან" გადამწყვეტ მატჩში ბოლო წუთებზე უდიდესი მნიშვნელობის პენალტი ვერ გაიტანა, გასულ შაბათს კი ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ვერ შეძლო თერთმეტმეტრიანის გატანა და „ბაიერნის" მარცხი „ჩელსისთან", პირველ რიგში, მას დაბრალდა.

ამ ყველაფერთან ერთად, „ბაიერნისა" და ჰოლანდიის ნაკრების მატჩში მან ჰოლანდიის ღირსება დაიცვა და არა მიუნხენური კლუბისა. ცხადია, ეს ყველაფერი საკუთარი ფეხბურთელისადმი სტვენას არ ამართლებს, მაგრამ მიზეზებია.

# ირაკლი ბოლქვაძემ საქართველოს ოლიმპიადის 29-ე ლიცენზია მოუპოვა

ლონდონში გასამართი ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველომ 29-ე ლიცენზია მოიპოვა და ეს 17 წლის მოცურავე ირაკლი ბოლქვაძემ მოახერხა.

ბოლქვაძემ უნგრეთის ქალაქ დებრეცენში მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა, სალიცენზიო ნორმატივი შეასრულა და ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურიც მოიპოვა. ჩვენებურმა 200 მეტრ ბრასით ცურვაში 24-ე ადგილი კი დაიკავა, მაგრამ სალიცენზიო ნორმატივი შეასრულა – დისტანცია 2.16.35 წუთში გაცურა და ლონდონური ლიცენზიაც მიიღო.

საინტერესოა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში, ასეთი შედეგი არც ერთ ქართველ მოცურავეს არ ჰქონია. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, 27 მაისს ბოლქვაძე ძალებს 400 მეტრ კომპლექსურ ცურვაში მოსინჯავს და ლიცენზიის დასაკუთრებას ამ დისციპლინაშიც შეეცდება.

დღეისათვის საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციაში 29 ლიცენზიანტია. იმასაც შეგახსენებთ, რომ ლონდონის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები 27 ივლისს გაიხსნება.

ჯერჯერობით, ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მქონე ქართველი სპორტსმენები არიან:

ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), ქრისტინე ესებუა (მშვილდოსნობა), მანუჩარ ცხადაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), მალხაზ ზარქუა (თავისუფალი ჭიდაობა), დავით მარსაგიშვილი (თავისუფალ ჭიდაობა), დავით ხუციშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), დავით მოძმანაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), გია მაჭავარიანი (ძალოსნობა), რაულ ცირეკიძე (ძალოსნობა), ირაკლი თურმანიძე (ძალოსნობა), ლუბა გოლოვინა (ბატუტზე ხტომა), მერაბ თურქაძე (კრივი), ლადო ხინჩეგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), გიორგი გოგშელიძე (თავისუფალი ჭიდაობა), ზურაბ დათუნაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ამირან პაპინაშვილი (ძიუდო), ლაშა შავდათუაშვილი (ძიუდო), ნუგზარ ტატალაშვილი (ძიუდო), ავთანდილ ჭრიკიშვილი (ძიუდო), ვარლამ ლიპარტელიანი (ძიუდო), ირაკლი ცირეკიძე ან ლომერ ჟორჟოლიანი (ძიუდო), ადამ ოქრუაშვილი (ძიუდო), ოთარ თუშიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), სოსო ჯაბიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), რევაზ ლაშხი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ვლადიმერ გეგეშიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), გურამ ფერსელიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), მარიამ გოგოლაძე (მძლეოსნობა), ირაკლი ბოლქვაძე (ცურვა).

# შედეგები

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| იაპონია-აზერბაიჯანი | 2:0 |
| ვენესუელა-მოლდოვა | 4:0 |
| პერუ-ნიგერია | 1:0 |
| **ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი** | |
| ალკორკონი-საბადელი | 1:0 |
| ალკოიანო-ერკულესი | 0:5 |
| გვადალახარა-ბარსელონა ბ | 2:0 |
| მურსია-უესკა | 0:1 |
| სელტა-ხერესი | 4:1 |
| ელჩე-ლას პალმასი | 1:2 |
| ხიმნასტიკი-დეპორტივო | 1:2 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | |
| ლოზანა-გრასჰოპერსი | 2:1 |
| სიონი-ლუცერნი | 1:3 |
| ბაზელი-იანგ ბოიზი | 1:2 |
| თუნი-ციურიხი | 2:4 |
| **დანია. სუპერლიგა** | |
| ორხუსი-მიდტიულანდი | 0:2 |
| კიოგე-ოდენსე | 1:1 |
| ლუნგბიუ-ბრონდბიუ | 1:0 |
| ნორდსიელანდი-ჰორსენსი | 3:0 |
| სონდერიისკე-ოლბორგი | 5:0 |
| კოპენჰაგენი-სილკებორგი | 2:1 |
| **შვედეთი. ალსვენსკა** | |
| გეფლე-იორებრო | 2:1 |
| ნორჩიოპინგი-ატვიდაბერგი | 2:2 |
| სირიანსკა-მილბი | 2:1 |
| ჰელსინბორგი-დიურგარდენი | 1:1 |
| **ნორვეგია. ტიპელიგა** | |
| ბრანი-ფრედრიკსტადი | 2:0 |
| ვიკინგი-სტაბეკი | 1:0 |
| სონგდალი-ულფი | 0:0 |
| სტრომგოდსეტი-ოდ .. გრელანდი | 1:0 |
| ვალერენგა-რუსენბორგი | 0:0 |
| **აშშ. მლს** | |
| ჩიკაგო-დალასი | 2:1 |
| სიეტლი-კოლამბუსი | 0:2 |
| ლოს ანჯელესი-სან ხოსე | 2:3 |
| **კალათბურთი** | |
| **ნბა. პლეი ოფი 4 მოგებამდე** | |
| ფილადელფია-ბოსტონი | 82:75 |
| სერიის ანგარიში | 3:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ატპ. ნიცა. თიხა** | |
| სიმონი-დიმიტროვი | 6:3;6:3 |
| ალმაგრო-როჯერ ვასელინი | 7:6;6:4 |
| ტომიჩი-კუკუშკინი | 6:3;2:6;5:7 |
| მონფილსი-ბეკერი | 3:6;6:7 |
| **ვტა. ბრიუსელი. თიხა** | |
| კანეპი-იოვანოვსკი | 6:2;6:2 |
| ციბულკოვა-ვიკმაიერი | 6:3;6:4 |
| არვიდსონი-რადვანსკა!უ. | 7:5;6:4 |
| **ჰოკეი** | |
| **ნჰლ. პლეი ოფი 4 მოგებამდე** | |
| რეინჯერსი-ნიუ ჯერსი | 3:5 |
| სერიის ანგარიში | 2:3 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# „სუხიშვილები" მარჯანიშვილის მოედანზე იცეკვებენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნება სპეციალურად ამ დღისათვის შექმნილი ეროვნულ-ნაციონალური პროგრამა, საქართველოს ყველა კუთხის ცეკვებით და ბევრი სიურპრიზით მაყურებლისათვის. კონცერტს მუსიკალურ თანხლებას გაუწევს ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით. სუხიშვილები უწყვეტ რეპეტიციებს გადიან და მაყურებელთან შესახვედრად ემზადებიან.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისთვის დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით, 23 მაისიდან 26 მაისის ჩათვლით მარჯანიშვილის მოედანი ჩაკეტილია. ზაარბრუკენის მოედნის მიმართულებით საავტომობილო მოძრაობა შესაძლებელია მარჯანიშვილის, წინამძღვრიშვილისა და კიევის ქუჩების გავლით. შეზღუდვების დაწესება მოძრაობის მიმართულებას საზოგადოებრივ ტრანსპორტსაც შეუცვლის.

სუხიშვილების კონცერტის პარალელურად, 26 მაისს კონცერტს გამართავს ლატვიის ფოლკლორისა და ცეკვის ანსამბლი „დრუვა", რომელიც თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით თავის შემოქმედებას წარმოადგენს. ანსამბლი უკვე 60 წელია მოღვაწეობს. კოლექტივის დაარსებიდან ანსამბლი „დრუვა" მონაწილეობას იღებს ლატვიის სიმღერისა და ცეკვის ფესტივალში, ასევე პოპულარიზაციას უწევს ლატვიური კულტურის ღირებულებებსა და ტრადიციებს საზღვარგარეთ – ბულგარეთი, დანია, იტალია, ესპანეთი, რუსეთი, ნორვეგია, ლიტვა, ესტონეთი, საბერძნეთი, ბელგია. ანსამბლს რეპერტუარში აქვს ლატვიური ხალხური და შემოქმედებითი ცეკვები, ანსამბლი „დრუვა" ქართველ მაყურებელს სთავაზობს საკონცერტო პროგრამას „სალდუს მთის წვერზე", „აი, როგორ ვცხოვრობთ" და „მხიარულმა ვიცხოვრო".

რუსთაველის გამზირზე კი საქართველოს ადმოუკიდებლობის დღე „ქართული მრეწველობის ალუმი – დამზადებულია საქართველოში" გაიმართება, რომელშიც საქართველოში მოქმედი 270-მდე საწარმო გაერთიანდება. ამ დროისთვის რუსთაველის გამზირზე მოძრაობა შეზღუდულია. თბილისის ცენტრალურ გამზირზე 26 მაისს საქართველოში წარმოებული მრავალფეროვანი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით გრანდიოზული გამოფენა მოეწყობა.

– მთელი დღის განმავლობაში, თბილისელებისთვის მრავალფეროვანი სანახაობა, ქართული ნაწარმის გამოფენა და სხვადასხვა კულტურულ-გასართობი ღონისძიებები მოეწყობა. სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობაა. ბოლო წლების განმავლობაში ქართული წარმოება სწრაფი ტემპით ვითარდება, რაც სტაბილური ბიზნეს-გარემოს შექმნამ და ლიბერალურმა საგადასახადო კანონმდებლობამ განაპირობა. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამრეწველო ალუმი ქართული ეკონომიკის განვითარებას, სამუშაო ადგილების შემქნასა და წარმოების სხვადასხვა სფეროს გაძლიერებას ისახავს მიზნად. დილის 11 საათიდან საღამოს 19 საათამდე რუსთაველის გამზირზე სპეციალურად მოწყობილ პავილიონებში წარმოდენილი იქნება ყველა ის საწარმო და პროდუქცია, რომელიც ქვეყნის მასშტაბით იწარმოება – მძიმე და მსუბუქი მრეწველობის პროდუქტები, საშენი და მოსაპირკეთებელი მასალები, კვების პროდუქტები, ფარმაცევტული ნაწარმი, ელექტროსაქონელი, ავეჯი, ტექსტილი და მრავალი სხვა. ამასთან, დღის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება თემატური წარმოდგენები, პროგრამები ბავშვებისათვის, ქალაქური სიმღერისა და ხალხური შემოქმედების კონცერტები და სხვა აქტივობები, – განაცხადა მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ხელმძღვანელმა ნეკა სებისკვერაძემ.



ნეკა სებისკვერაძე

26 მაისს ჩატარდება ტრადიციული „ყვავილების ფესტივალი", რომელიც წელს ბევრად უფრო დიდ მასშტაბებს შეიძენს. წარმოდგენილი იქნება დეკორატიული მცენარეების ნერგები, ერთ და მრავალწლიანი ყვავილები, აივნებისა და ტერასების გასაფორმებელი მცენარეები და საბაღე და სამეურნეო ინვენტარი. წელს ყვავილების ფესტივალი 9 აპრილის სახელობის ბაღში გაიმართება.

– დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, 2012 წლის 25 მაისს ჯანსუღ კახიძის სახელობის ე.წ. „გოფილექტის" ბაღის ამფითეატრში დაგეგმილია ლატვიური ხალხური ცეკვის ანსამბლ „დრუვას" კონცერტი. ასევე დაგეგმილია შეხვედრა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მონაწილე ქალბატონებთან, – ამბობს ნეკა სებისკვერაძე.

ამავე დღეს ჩატარდება თბილისში ფესტივალი „მეორე სიცოცხლე", რომლის ორგანიზატორიც ალექსანდრე ბაგრატიონ დავითაშვილია. ფესტივალი „მეორე სიცოცხლე" უკვე მეოთხე სერიას მართავს და ის თბილისში ყოფილი გამომცემლობის შენობაში მოეწყობა. ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება სემინარი და ვორკშოპი ელექტრონული მუსიკის თანამედროვე მიმდინარეობების შესახებ, რომელსაც თანამედროვე ხელოვნების ცენტრის ლექტორები ჩაატარებენ. დამსწრეებს საშუალება მიეცემათ გაეცნონ კონკრეტული მიმდინარეობების საფუძვლებს და თავად სცადონ ელექტროკომპოზიციის დაწერა და გამიქსვა.

– ფესტივალის მთავარი ნაწილი იქნება ელექტრონული მუსიკის კონცერტი, რომელიც „გამომცემლობის" შიდა ეზოში დღის 4 საათზე დაიწყება. კონცერტზე დაუკრავს 6 ქართველი და 3 მოწვეული დიჯეი – გრინბიმი და ლეონი, თორნიკე ჩოხელი, თომა, ბერო, კიდიკი, იორის სიოპისი, ამბივალენტი. ვიზუალი თემო მაჭავარიანს ეკუთვნის. ფესტივალზე ასევე წარმოდგენილი იქნება ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი აქსესუარები და მაისურები, რომლის შეძენა ნებისმიერ მსურველს შეეძლება. ფესტივალზე იქნება ლუდის კუთხე, სადაც ლუდთან ერთად სტუმრებს ცნობილი შეფმზარეულის თამარ კიკალეიშვილის მომზადებული სენდვიჩების, ბარბექიუებისა და სალათების დაგემოვნება შეეძლებათ. ჩვენი ფესტივალი ერთდღიანია და მეორე დილამდე გაგრძელდება, – განმარტა ალექსანდრე ბაგრატიონ დავითაშვილმა.

თანამედროვე ვიზუალური ხელოვნებისა და ელექტრონული მუსიკის ფესტივალმა „მეორე სიცოცხლე" სტარტი 2010 წლის ნოემბერში ჭიათურაში აიღო. მას შემდეგ ფესტივალი ჩატარდა თბილისში და წყალტუბოში. ფესტივალში მონაწილეობდა 30-ზე მეტი არტისტი და საერთო ჯამში დაესწრო 10.000-ზე მეტი ადამიანი.

– „მეორე სიცოცხლეს" მთავარი მიზანია განავითაროს ელექტრონული მუსიკა და თანამედროვე ხელოვნება თბილისსა და საქართველოს რეგიონებში, ასევე, გამოიყენოს ძველი, ტექნიკური შენობები კულტურული დანიშნულებით და მიანიჭოს მათ „მეორე სიცოცხლე", – ამბობს ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი

# კონსტიტუციური ცვლილებები სიგიჟეა!

დასაწყისი მე-8 გვერდზე

*– თუ გაეცანით ბიძინა ივანიშვილის ღია წერილს სააკაშვილისადმი, როგორია თქვენი შეფასება ამასთან დაკავშირებით?*

– ზოგიერთი ავყია პოლიტიკოსი და ექსპერტი თვლის, რომ ივანიშვილის ადგილი პოლიტიკაში არ არის. ნაცმოძრაობა ამბობდა, ივანიშვილის საქმე არ არის პოლიტიკაო, ის ბიზნესმენიაო. ამ რვა თვის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილმა დაუმტკიცა ხელისუფლებას და ამ ექსპერტებს, რომ პოლიტიკურ დარტყმებს აყენებს მიხეილ სააკაშვილს, ნაცმოძრაობა ამ დარტყმების გამო აზრზე მოსვლას ვერ ახერხებს. რინგზე დგას ბიძინა ივანიშვილი და მეორე მხარეს დგას მთელი ნაცმოძრაობა და ქრისტიან-დემოკრატებიც მიეხმარნენ თავისი ინიციატივებით. ივანიშვილი რვა თვეა სახეში ურტყამს ნაცმოძრაობას და ესენი დარეტიანებულები აქეთ-იქით აწყდებიან და ყოველდღე ახალ სისულელეს აკეთებენ. ეს ღია წერილი არის სერიოზული ნოკდაუნი სააკაშვილისთვის და ნოკაუტი შემოდგომაზე იქნება. ივანიშვილისთვის ხელისუფლებაში მოსვლა თვითმიზანი არ არის. ისე უნდოდა წარმოეჩინა დღევანდელ ხელისუფლებას, რომ თითქოს ივანიშვილი ყველა მეთოდებით ცდილობს ხელისუფლებაში მოვიდეს, მაგრამ ივანიშვილმა დაუმტკიცა მათ, რომ მხოლოდ კანონიერი და ზნეობრივი გზით აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას და სააკაშვილის შეცვლას. ეს იყო სერიოზული პოლიტიკური დოკუმენტი, რომლითაც ნოკდაუნში ჩააგდო არა მარტო სააკაშვილი, არამედ ნაცმოძრაობის სატელიტი პარტიები.

*– ამ ცვლილებებით ერთდროულად თუ პირი არის საქართველოს მოქალაქეც და ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეც, უფლება არა აქვს დაიკავოს პრემიერ-მინისტრის პოსტი, მაგრამ თუ პირი მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეა, უფლება აქვს. როგორც იურისტი, იქნება განმარტოთ, რას ნიშნავს ეს ფორმულირება?*

– ეს არის სრული უაზრობა. ამას ვერც ერთი ველური ქვეყნის მეთაურიც კი ვერ მოიფიქრებს. არ მინდა დავასახელო ესა თუ ის კონტინენტი ან სახელმწიფო, ბატონმა ბიძინამ ხაფანგი დაუდო ნაცმოძრაობას. ხმა მისცეს ისეთ სიგიჟეს, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქე შეიძლება გახდეს მონაწილე ქვეყნის მართვისა, და საქართველოს მოქალაქე კი არა. ამის შეფასებას იურისტი არ სჭირდება. ნაცმოძრაობა გულმოდგინედ ცდილობდა მახეში ივანიშვილის გაბმას, თავად გაება ამ სიბინძურეში. ვენეციის ან თუნდაც სხვა საერთაშორისო კომისიის წარმომადგენლებმა რომ ნახონ ეს ცვლილებები რომელი მათგანი იტყვის, რომ ეს არის ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანების მომზადებული ცვლილებები. მარტო შიგნით ქვეყანაში კი არ გამოითხარა ძირი ამ ხელისუფლებამ, არამედ მთელ მსოფლიოში. ადრე ოპოზიციას ძალიან უჭირდა საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება. დღეს ევროპამ და ამერიკამ დაინახეს, რომ ხელისუფლება ჯანსაღი ფსიქიკის აღარ არის, ოპოზიციას კი მხარდაჭერა გააჩნია. რაც ობამამ უთხრა თებერვალში სააკაშვილს, შემოდგომაზე მოველით დემოკრატიულ არჩევნებს, მშვიდობიანი გზით ხელისუფლების გადაბარებასო. სააკაშვილი თავის დაცვას იმით ცდილობდა, რომ თითქოს ესენი პრორუსული ძალები არიან და მათი ხელისუფლებაში მოსვლა არ შეიძლება. ერთადერთი დასავლური ძალა ნაცმოძრაობააო. ამის აღარავის სჯერა.

*– ჩიკაგოს სამიტის შედეგებზე ხელისუფლება უცნაურ შეტყობინებებს უგზავნის საზოგადოებას. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნატოს გაფართოება 2014 წელს მოხდება, სოჭის ოლიმპიადის შემდეგ. როგორია თქვენი აზრი ჩიკაგოს სამიტის შედეგებზე?*

– ჩიკაგოს სამიტზე რაც იყო რეზოლუციაში შეტანილი საქართველოს შესახებ, ეს იყო ობამა-სააკაშვილის დიალოგის შინაარსის გაგრძელება. 2014 წლის ოქტომბრამდე სააკაშვილი პრეზიდენტია. შემდეგი სამიტი იქნება 2014 წლის ზაფხულში ან შემოდგომაზე. ჩიკაგოს სამიტზე სააკაშვილს უთხრეს, საქართველოს მივიღებთ ნატოში, მაგრამ უთქვენოდ. სააკაშვილი აბოლებს საქართველოს მოსახლეობას, რომ თითქოსდა საქართველოს მიიღებენ ნატოში მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სააკაშვილი იქნება პრეზიდენტი. სააკაშვილი მსოფლიოში ტრაბახობს, რომ ყველაზე დიდი კონტინგენტი რაოდენობრივად საქართველოს ჰყავს ავღანეთში. ნატოს წევრობა მარტო სამხედრო მისიებში მონაწილეობა კი არ არის, პირველ რიგში, დემოკრატიული რეფორმების გატარებაა. სინგაპური იმიტომ არის იდეალური ქვეყანა სააკაშვილისთვის, რომ მას აქ რეფორმების გატარება არ სურს. საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება და ახალი ხელისუფლება დარწმუნებული ვარ, მართლა გაატარებს დემოკრატიული რეფორმებით მსოფლიოს, როგორც ბატონმა ბიძინამ თქვა.

***– 26 მაისი მოდის. გვერდს ვერ ავუვლით მერაბ კოსტავას. მისი დაბადების დღე სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს არის და ეს უბრალო დამთხვევა რომ არ იყო, მისმა განვლილმა ცხოვრების გზამ აჩვენა. როგორია ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას მნიშვნელობა ქართველებისთვის?***

– დიდი მადლობა, არც შევარდნაძეს და არც სააკაშვილს არასოდეს დაუფასებიათ მერაბ კოსტავა და მისი ღვაწლიც არ შეუფასებიათ. სააკაშვილი საქართველოს ისტორიის ათვლას 2003 წლიდან იწყებს. შევარდნაძე კომუნისტი ფუნქციონერი იყო და მერაბი კი კომუნისტებს ებრძოდა. კომუნისტებმა მოუღეს ბოლო. ქართველი ერი არასოდეს დაივიწყებს ამ ადამიანის სახელს. 26 მაისი პირველ რიგში არის ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღე, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ საზეიმოდ 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენა. მას ახლა 73 წელი შეუსრულდებოდა. მისი ღვაწლი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დაფასებული, მომავალი თაობები დააფასებენ. მას მისი თანამედროვეები რატომღაც პოლიტიკოსად არ მიიჩნევდნენ. ამბობდნენ, რომ ის არის დიდი ჰუმანისტი და ადამიანის უფლებების დამცველი. დაივიწყეს ის, რაც მერაბმა გააკეთა ციხიდან გამოსვლის შემდეგ. ყარაბაღში რომ დაპირისპირება დაიწყო, მერაბმა მსოფლიოს დიდი ომი ააცილა. მაშინ მერაბ კოსტავასთან ჩამოვიდნენ როგორც მისი თანამებრძოლის, ვაჟა ადამიასგან ვიცი, პროვოკატორები სომხეთიდან, ვითომ დისიდენტები, სინამდვილეში კგბ-ს აგენტურა იყო, მოდით, ქრისტიანებმა დავცხოთ აზერბაიჯანელებს, თქვენ საინგილო წაართვით, ჩვენ ყარაბახს წავართმევთო. 1987 წელი იყო, მერაბი ახალი გამოსული გახლდათ ციხიდან, მან უთხრა სომხებს, როგორ შეიძლება ამის გაკეთება, ყველანი კავკასიელები ვართ ძმები, რუსეთის იმპერიას ერთად უნდა ვებრძოლოთო. ასე გაისტუმრა ისინი და საქართველოს ააცილა უდიდესი ომი. მეორედ, ივნისში 1989 წელს ვოვა ვეკუა მოკლეს აფხაზმა პროვოკატორებმა, მთელი საქართველო ენგურის ხიდთან შეიყარა, აფხაზეთში გადასვლას და აფხაზებთან ანგარიშსწორებას აპირებდნენ. მხოლოდ მერაბის უდიდესმა ავტორიტეტმა შეაჩერა ამდენი გამწარებული ქართველი. რუსების მიერ იყო დაგებული მახე, უნდოდათ ქართველებისა და ფახაზების შეტაკება, სისხლის ღვრა და ჩარევა მერე ვითომ მომრიგებლის როლში. ეს ომი 1992 წელს ველარ ავიცილეთ. რუსეთის იმპერიამ დაინახა, რომ ყველა მისი გეგმა კავკასიაში არეულობების და დაპირისპირებისა მერაბმა ჩაშალა და ამის მერე იყო, რომ 1989 წლის 13 ოქტომბერს ავარია მოუწყვეს და მოკლეს. გადარჩენილ ზურაბ ჭავჭავაძეს ინფექციური დაავადება შეყარეს და მოკლეს. „ფიქრები საქართველოს მისიაზე" – ეს არის მერაბ კოსტავას ფუნდამენტური ნაშრომი. სახელმძღვანელობში უნდა შევიდეს იმიტომ, რომ საქართველოს მისიასა და როლზე საუბარი.



## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. გრიგალი წყნარ ოკეანეში; 2. ძმარმჟავას მარილი; 3. რეცეპტის პირი, რომელიც აფთიაქიდან გაცემულ წამალს ახლავს; 4. ბუღალტერიაში წარმოების, ფირმის ვალებისა და ვალდებულებათა ერთობლიობა; 5. საფრანგეთის ნაკრებისა და „ბაიერნის" ფეხბურთელი; 9. შვედური საავტომობილო კომპანია; 10. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 14. კაცთმოყვარე, ქველმოქმედი, მოწყალე ადამიანი; 15. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა; 16. ესპანელი დიქტატორი; 19. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 20. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 21. ამერიკული ჯიპი.

**თარაზულად**: 6. მცდარი მხედველობითი, ყნოსვითი სმენითი და შეხებითი აღქმა; 7. სასამართლო განაჩენის გასაჩივრება; 8. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 11. შინაური კურდღელი; 12. რძეში მოხარშული ცომის პატარა ნაჭრები; 13. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. მრავალხმიანობა მუსიკაში; 18. ვაშლის ქართული ჯიში; 22. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 23. შენობის სახურავად გამოყენებული გამომწვარი თიხის ფირფიტები; 24. საზღვაო ფლოტის სარდლის ძველებური სახელწოდება; 25. ზოდიაქოს ნიშანი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## ნინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბრინჯაო; 2. ბოხოხი; 3. ჩაინტაუნი; 4. მუჯირი; 5. მელბურნი; 7. „უშბა"; 11. დესპოტი; 13. დეფექტი; 15. ერაყი; 16. „ჰონდა"; 18. რენტა; 19. ტუმბო.

**თარაზულად:** 6. რატუშა; 8. ბოზბაში; 9. ბაჯაღლო; 10. ჯომარდი; 12. „სილვა"; 14. „წიქარა"; 17. რეფერტიტი; 20. „ობოლონი"; 21. ტყვიში; 22. ტაიბეი; 23. ფარავანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჟერარდი; 2. მინკუსი; 3. „კრაისლერი"; 4. ელინგი; 5. ასტანა; 9. სინჯი; 10. ამტყელი; 14. ჰერბარიუმი; 15. პერიმეტრი; 16. ფლეტა; 19. კეტჩუპი; 20. სუმიდა; 21. „ნადური".

**თარაზულად:** 6. რესპირატორი; 7. „ბიბლისი"; 8. კაბუკი; 11. დიოგენი; 12. ასთმა; 13. სენდიჯი; 17. „სეგიდელია"; 18. ბალანსირი; 22. იურისტი; 23. ტრაპერი; 24. სპონსორი; 25. რიქსდაგი.

